

საინფორმაციო და გავლენის  
ოპერაციებისგან  
საარჩევნო პროცესების  
დაცვის ნორდოკული  
გამოცდილება





**საინფორმაციო და გავლენის ოპერაციებისგან  
საარჩევნო პროცესების დაცვის  
ნორდინული გამოცდილება**

ავტორი: ვასილ კუჭუხიძე

პროექტი მხარდაჭერილია გაერთიანებული სამეფოს საელჩოს მიერ. კვლევაზე პასუხისმგებელია მისი ავტორი და შინაარსი არ შეიძლება აღქმული იყოს როგორც გაერთიანებული სამეფოს საელჩოს პოზიცია და მოსაზრება.

The project is supported by the British Embassy Tbilisi. The content of this document is the sole responsibility of the author and can under no circumstances be regarded as reflecting the position of the Embassy of the United Kingdom of Great Britain and Northern Ireland.

### ავტორის შესახებ

ვასილ კუჭუხიძე - სკანდინავიის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სპეციალისტი. ის გახლავთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი ევროპის უახლესი ისტორიის მიმართულებით. საკვლევით თემა - სკანდინავიის ქვეყნების ინტერესები საქართველოს მიმართ. მაგისტრის ხარისხი (MA) მიღებული აქვს ორჰუსის უნივერსიტეტში (დანია) ევროპისმცოდნეობის სპეციალობით, სადაც იკვლევდა ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას. ფლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრის ხარისხს საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით. ევროპის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის შესახებ გავლილი აქვს სხვადასხვა კურსები ოსლოს უნივერსიტეტში, შვედეთის ეროვნული თავდაცვის კოლეჯში, მალმოს უნივერსიტეტში, ლუნდის უნივერსიტეტში, უსაფრთხოების სწავლების ჯ. მარშალის ევროპულ ცენტრში. სკანდინავიის ქვეყნების საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის შესახებ, მინვეული ლექტორის რანგში, ლექციებს კითხულობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და შავი ზღვის უნივერსიტეტში.

კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და არა მასთან აფილირებულ რომელიმე ორგანიზაციას ან ინსტიტუტს.



British Embassy  
Tbilisi



## სარჩევი

<b>შესავალი .....</b>	<b>7</b>
<b>ნორდული ქვეყნებისა და რუსეთის ურთიერთობები .....</b>	<b>10</b>
<b>რუსული საინფორმაციო ომი .....</b>	<b>17</b>
ისტორიული კონტექსტი: განვითარების პროცესი და მიზეზები .....	17
კონცეპტუალური კონტექსტი: მეთოდები და ამოცანები .....	20
<b>დემოკრატიული შეკავების კონცეფცია.....</b>	<b>23</b>
<b>შვედეთის გამოცდილება .....</b>	<b>27</b>
<b>ფინეთის გამოცდილება .....</b>	<b>36</b>
<b>დანის გამოცდილება.....</b>	<b>45</b>
<b>დასკვნა .....</b>	<b>53</b>
<b>ბიბლიოგრაფია.....</b>	<b>55</b>



2014 წელს, ყირიმის ანექსიის შემდეგ, დასავლეთსა და რუსეთს შორის კონფრონტაცია მწვავე ფაზაში გადავიდა. შედეგად, რუსეთის მიერ წარმოებულმა საინფორმაციო ომმა უკიდურესად აგრესიული ხასიათი შეიძინა ევრო-ატლანტიკური სივრცის ქვეყნებისა და მათი მოკავშირეების მიმართ. მართალია, საინფორმაციო ომი არ წარმოადგენს თანამედროვე ეპოქის წარმონაქმნს და ის სხვადასხვა ფორმით უძველესი ხანიდან გამოიყენებოდა, მაგრამ უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მიღწეულმა ტექნოლოგიურმა განვითარებამ მას ახალი მასშტაბი და განზომილება შესძინა. გარდა ამისა, რუსეთმა საინფორმაციო ომი დასავლეთთან კონფრონტაციაში ბრძოლის ერთ-ერთ უმთავრეს ინსტრუმენტად აქცია.

უშუალოდ დასავლეთის ქვეყნებზე საინფორმაციო თავდასხმის გარდა, რუსეთი დღემდე ასევე აქტიურად ცდილობს მსოფლიოში საერთაშორისო წესრიგის რღვევას, ლიბერალურ ღირებულებებზე შეტევას, არადემოკრატიული პოლიტიკური სისტემების ნახალისებასა და ნაციონალისტურ-კონსერვატიული იდეოლოგიის პოპულარიზებას. დასავლეთი კი რუსული საინფორმაციო ომის ეფექტური შეკავების მეთოდების ძიების პროცესშია. მიუხედავად ამ კუთხით მიღწეული გარკვეული წარმატებებისა, დღემდე დასავლეთის ქვეყნების ნაწილში უმთავრეს გამოწვევად რჩება არჩევნების დაცვა რუსული საინფორმაციო და გავლენის ოპერაციებისგან.

საკითხი აქტუალურია საქართველოშიც, რომელიც მიმდინარე წელს მნიშვნელოვანი საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადების პროცესშია. დასავლეთის მოკავშირეობა საქართველოს ავტომატურად ხდის რუსული საინფორმაციო ომის სამიზნედ. შესაბამისად, საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია არჩევნების დაცვა გარე ძალების ჩარევისგან. ამ კუთხით კი თბილისს დასავლეთის მხარდაჭერა და წარმატებული გამოცდილების გაზიარება სჭირდება.

ამ მხრივ საყურადღებოა ნორდიკული ქვეყნების გამოცდილება. სხვადასხვა სფეროში ინოვაციური ინიციატივების შემუშავების გამო, მათ მიერ დამკვიდრებული მიდგომები სულ უფრო მეტად საინტერესო ხდება სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის. ეს ეხება საინფორმაციო და გავლენის ოპერაციების შეკავებისა და არჩევნების დაცვის ნორდიკული გამოცდილებას, რომელიც უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში საერთაშორისო ყურადღებისა და ინტერესის საგანი გახდა. მაგალითად, 2016 წელს ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახურის (EEAS) მიერ მომზადებული ანგარიშის მიხედვით, ნორდიკული ქვეყნები ევროპის მასშტაბით გამორჩეული

წარმატებით ახერხებენ რუსული დეზინფორმაციისა და გავლენის კამპანიის შეკავებას. გარდა ამისა, აშშ-ის სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის მიერ 2018 წელს მომზადებულ ანგარიშში სამაგალითოდ არის მოხსენიებული ნორდიკული ქვეყნების გამოცდილება და ერთი თავი ეთმობა მათი მხრიდან გადადგმული ნაბიჯების განხილვას (Committee on Foreign Relations, United States Senate, 2018). ამას ემატება სხვადასხვა ავტორიტეტული ანალიტიკური ცენტრისა და კვლევითი ინსტიტუტის მიერ, ამ საკითხისადმი სპეციალურად მიძღვნილ ანგარიშებში, ნორდიკული ქვეყნების მხრიდან გატარებული ზომების მიმართ გაკეთებული დადებითი შეფასებები.

გარკვეული მოსაზრების თანახმად, რუსეთის მხრიდან დასავლეთის წინააღმდეგ დაწყებული საინფორმაციო ომი მწვავე ხასიათს არ ატარებს ნორდიკულ ქვეყნებში და სწორედ, ეს გახლავთ მათი მხრიდან წარმატებით თავის დაცვის მიზეზი. მართალია, რეგიონი ევრო-ატლანტიკური სივრცის ჩრდილოთ პერიფერიას წარმოადგენს, მაგრამ რუსეთის ბალტიური და არქტიკული ინტერესებიდან გამომდინარე, ნორდიკული ქვეყნები, სწორედ, რომ თავდასხმის ეპიცენტრში იმყოფებიან. გარდა ამისა, ერთი მხრივ, მოსკოვის მიერ ლიბერალ-დემოკრატიულ ღირებულებებზე მიტანილი იერიში, მეორე მხრივ კი, ნორდიკული ქვეყნების მხრიდან კრემლის ქმედებების მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება, რუსულ დეზინფორმაციის მანქანას ზემოხსენებულ ქვეყნებზე შეტევის დამატებით მოტივაციას აძლევს.

კვლევის აკადემიური ხასიათიდან გამომდინარე, ნაშრომის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს საკითხის მიმართ ცოდნის გენერირება. მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში ნორდიკული ქვეყნების შესახებ ინფორმაცია მწირია. გარდა ამისა, კვლევას გააჩნია პრაქტიკული დანიშნულებაც. კერძოდ, რუსული საინფორმაციო ომის შეკავების ნორდიკული ქვეყნების გამოცდილების შესწავლა, რათა მოხდეს იმ მიდგომებისა თუ ინიციატივების იდენტიფიცირება, რომელთა გათვალისწინება და სხვადასხვა ქვეყნის, ამ შემთხვევაში ქართულ, რეალობაზე მორგება შესაძლებელი იქნება. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ნორდიკული ქვეყნების საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოწყობა, გეოგრაფიული მდებარეობა, ისტორიული გამოცდილება და ა.შ ქმნის უნიკალურ გარემოს, რომელშიც ზემოხსენებულ ქვეყნებს უწევთ რუსულ საინფორმაციო ოპერაციებთან გამკლავება. შესაბამისად, კვლევის შედეგად იდენტიფიცირებული, ნორდიკული ქვეყნების ინიციატივების გარკვეული ნაწილი, შესაძლოა, შეუსაბამო აღმოჩნდეს სხვა ქვეყნებისთვის. თუმცა, აუცილებელია იმის ხაზგასმა, რომ ნორდიკული ქვეყნები მოქმედებენ დემოკრატიული შეკავების კონცეფციის ფარგლებში. ეს მაგალითის და სტიმულის მომცემი უნდა იყოს ნებისმიერი ქვეყნისთვის იმის გასაცნობიერებლად, რომ რუსულ საინფორმაციო ომთან გამკლავება შესაძლებელია დემოკრატიული ღირებულებებიდან გადახვევის გარეშე.



ამ კუთხით აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ნორდიკული ქვეყნების ღირებულებები თავსებადობაში მოდის საქართველოს ევრო-ატლანტიკურ მისწრაფებებთან. შესაბამისად, გამოცდილების გაზიარების დროს, ამ მხრივ, ღირებულებათა აცდენის საფრთხე მცირეა. ასევე, გეოგრაფიული სიშორის მიუხედავად, საქართველოს მხრიდან მზარდია ნორდიკულ ქვეყნებთან უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის ტენდენცია, რომლის ფარგლებშიც არსებობს გამოცდილების გაზიარების პრაქტიკაც და მზაობაც.

კვლევა ჩატარებულია თვისებრივი ანალიზის საფუძველზე. შესწავლილია სამი ნორდიკული ქვეყნის (დანია, შვედეთი, ფინეთი) გამოცდილება და აქედან გამომდინარე, გამოყენებულია კომპარატივიზმის ელემენტებიც, მაგრამ თითოეული ქეისი განხილულია ინდივიდუალურად, მსუბუქი პარალელებით და არა განსხვავებებისა და მსგავსებების ღრმა შეფასებით. შესაბამისად, კვლევა არ წარმოადგენს კლასიკურ შედარებით ანალიზს. ქეისების შერჩევა მოხდა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, სწორედ, ამ ქვეყნებში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების გამო. გარდა ამისა, ევროკავშირის წევრობიდან გამომდინარე, 2019 წელს სამივე ქვეყანაში გაიმართა ევროპარლამენტის არჩევნები, რაც რუსეთს გავლენის მოხდენის დამატებითი ძალისხმევისკენ უბიძგებდა. კვლევაში წყარობად გამოყენებულია ზემოხსენებული ქვეყნების სტრატეგიული დოკუმენტები და ანგარიშები, ადგილობრივ გადაწვეტილებების მიმღებ პირთა განცხადებები და ინტერვიუები. ასევე - საკითხზე მომუშავე სკანდინავიური ანალიტიკური და აკადემიური ცენტრების დასკვნები და უცხოელი ექსპერტების შეფასებები.

სტრუქტურის თვალსაზრისით, კვლევის პირველი თავი ეთმობა გლობალურ და რეგიონალურ ჭრილში ნორდიკულ ქვეყნებსა და რუსეთს შორის ღირებულებითი და გეოპოლიტიკური წინააღმდეგობების განხილვას, რათა მოხდეს იმის გაცნობიერება, თუ რატომ არის რეგიონი რუსული საინფორმაციო ოპერაციების სამიზნე. კვლევის შემდგომ ნაწილში მოკლედ იქნება მიმოხილული რუსული თანამედროვე საინფორმაციო ომის კონცეფციის განვითარების ეტაპები და მიზეზები; ასევე, საინფორმაციო ოპერაციების ფარგლებში არსებული ამოცანები და გამოყენებული მეთოდები. ნაშრომის ძირითადი ნაწილი ფოკუსირებული იქნება შეკავების დემოკრატიული კონცეფციის ფარგლებში სამი ნორდიკული ქვეყნის გამოცდილების ინდივიდუალურ განხილვაზე. თითოეულ ქვეყანასთან მიმართებაში აქცენტი გაკეთდება, საფრთხის ხარისხსა და ხელისუფლების მხრიდან მის შესაბამისად გაცნობიერებაზე, სახელმწიფოს მიერ მიღებულ ზომებსა და მედიისა და საზოგადოების მხრიდან გადადგმულ ნაბიჯებზე.

## ნორდიკული ქვეყნებისა და რუსეთის ურთიერთობები

ნორდიკულ რეგიონში რუსული საინფორმაციო კამპანიის მიზნების, ამოცანებისა და მეთოდების სწორად გასააზრებლად მნიშვნელოვანია უკანასკნელი დეკადის განმავლობაში ნორდიკული ქვეყნებისა და რუსეთის ურთიერთობის განხილვა ღირებულებით, ეკონომიკურ და გეოპოლიტიკურ ქრილში. ეს იძლევა საშუალებას იმის გასაცნობიერებლად, რომ პერიფერიული გეოგრაფიული მდებარეობის მიუხედავად, რეგიონი რუსეთის განსაკუთრებული ინტერესის არეალში არის მოქცეული.

მოსკოვსა და ნორდიკულ დედაქალაქებს შორის არსებულ ღირებულებით წინააღმდეგობას საერთაშორისო განზომილება გააჩნია, რაც განპირობებულია ნორდიკული ქვეყნების საგარეო პოლიტიკისთვის დამახასიათებელი ძლიერი ინტერნაციონალიზმით. ისტორიულად ზემოხსენებული ქვეყნები, საკუთარი მცირე ზომის მიუხედავად, აქტიურად იდგნენ/დგანან უნივერსალური ღირებულებებისა და საერთაშორისო ნორმების დაცვის სადარაჯოზე. აქედან გამომდინარე, ნორდიკული ქვეყნებისთვის მიუღებელია, როგორც თავად რუსეთში მიმდინარე არადემოკრატიული პროცესები, ასევე მოსკოვის მიერ საერთაშორისო სამართლის ნორმების სრული იგნორირების საფუძველზე, მეზობელ (და არამარტო) ქვეყნებთან მიმართებაში გატარებული პოლიტიკა. ასევე, ისინი მწვავედ აღიქვამენ რუსეთის მხრიდან თანამშრომლობასა და ღირებულებებზე დაფუძნებული საერთაშორისო წესრიგის რღვევის მცდელობას, რაც მათი აზრით, პატარა სახელმწიფოების მდგომარეობას ართულებს და უფრო მონყვლადს ხდის მათ საერთაშორისო გამონჯევების წინაშე.

სწორედ ამიტომაც, ნორდიკული ქვეყნების მხრიდან რუსეთის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება მკვეთრად გაიზარდა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ და მწვავე კონფრონტაციაში გადაიზარდა უკრაინის მოვლენების შემდგომ. ამის კარგი მაგალითია, ჯერ კიდევ 2014 წლის 5 მარტს, უკრაინის მხარდაჭერის მიზნით, შვედეთისა და დანიის საგარეო საქმეთა მინისტრების, კარლ ბილდტისა და მარტინ ლიდეგორის ვიზიტი კიევში (Berlingske, 2014). ეს მკაფიო ნაბიჯი მიუთითებს ნორდიკული ქვეყნების მხრიდან რუსეთის ქმედებების დაგმობასა და პოსტ-საბჭოთა ქვეყნების მხარდაჭერაზე. მოგვიანებით, ხუთივე ნორდიკული ქვეყანა შეუერთდა რუსეთის მიმართ დაწესებულ ევროკავშირის სანქციათა პაკეტს (მიუხედავად იმისა, რომ ნორვეგია და ისლანდია არ არიან ევროკავშირის წევრი ქვეყნები).

გარდა ამისა, შვედეთის, დანიის, ფინეთის, ნორვეგიის თავდაცვის მინისტრებმა და ისლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრმა 2015 წლის 10 აპრილს, ნორვეგიულ

გამოცემა „Aftenposten“-ში გამოაქვეყნეს ერთობლივი სტატია (Op-ed), რომელშიც რუსეთის ქმედებები ევროპის უსაფრთხოების უმთავრეს გამონწვევად იქნა დასახელებული. მათ დაგმეს რუსეთის მხრიდან სამხედრო საშუალებების გამოყენება პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, მეზობელი ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა და საერთაშორისო სამართლის ნორმების უგულვებლყოფა. ასევე, სტატიაში ყურადღება გამახვილდა რუსეთის მიერ დეზინფორმაციისა და პოლიტიკური მანიპულაციების გამოყენებით დასავლური ქვეყნების ერთიანი პოზიციის დაყოფის მცდელობაზე (Aftenposten, 2015).

ღირებულებითი შეუთავსებლობის პარალელურად რუსეთს ნორდიკულ ქვეყნებში არ გააჩნია ძლიერი ეკონომიკური ბერკეტი, რომლის საშუალებითაც ეცდებოდა ადგილობრივ მთავრობებზე გავლენის მოხდენას. ფინეთის გარდა რუსეთთან ნორდიკული ქვეყნების სავაჭრო მოცულობა დაბალია. ყირიმის ანექსიამდე შვედეთისა და დანიის ექსპორტი რუსეთში 3 %-ს არ აღემატებოდა, რაც ზემოხსენებული ქვეყნების მიერ ევროკავშირის სანქციებთან შეერთების შემდეგ და რუსეთიდან საპასუხო სანქციების შედეგად, კიდევ უფრო შემცირდა. გარდა ამისა, ორივე ქვეყნის შემთხვევაში არ არსებობს დამოკიდებულება რუსულ ენერგორესურსებზე. დანია ამ მხრივ თვითკმარია, ხოლო შვედეთი ძირითადად ნორვეგიიდან და დანიიდან ყიდულობს ენერგორესურსებს (Kunz, 2018, გვ. 8).

ფინეთის შემთხვევაშიც კი, თუკი 2013 წელს ჰელსინკისთვის რუსეთი უმთავრეს სავაჭრო პარტნიორს წარმოადგენდა, მომდევნო ორი წლის განმავლობაში რუსეთიდან იმპორტის 37 %-ით, ხოლო ექსპორტი 35 %-ით შემცირების შედეგად, რუსეთი ფინეთისთვის სიდიდით მეხუთე ბაზარი გახდა (Yle, 2015). 2016 წლის მონაცემებით, ფინეთის ექსპორტის მხოლოდ 6 % მოდიოდა რუსეთზე, მაშინ როდესაც ევროკავშირის წილი 59 %-მდე გაიზარდა. თუმცა, რუსეთიდან იმპორტის წილი კვლავაც მაღალი იყო, ძირითადად ენერგორესურსებისა და ბუნებრივი ნიაღისეულის შესყიდვის საფუძველზე. რუსეთთან ვაჭრობის შემცირების ზემოხსენებული ტენდენცია ფინეთში დღემდე გრძელდება (Statistics Finland, 2020). ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ ჰელსინკი წარმატებით ართმევს თავს რუსული ეკონომიკური დამოკიდებულებიდან თავის დაღწევის ამოცანას.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ის ეკონომიკური ბერკეტები, რომლებიც რუსეთმა ევროპაში პოლიტიკური მიზნების მიღწევის ინსტრუმენტად აქცია, ნორდიკულ რეგიონში საკმაოდ სუსტია. ეს მოსკოვს ნორდიკულ ქვეყნებზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობას უზღუდავს და ალტერნატიული გზების მოძიებისკენ უბიძგებს.

რაც შეეხება ნორდიკული ქვეყნებისა და რუსეთის ურთიერთობების განხილვას გეოპოლიტიკურ ქრილში, ეს ძირითადად ბალტიის ზღვისა და არქტიკის რეგიონებში მიმდინარე სამხედრო-პოლიტიკურ პროცესებს უკავშირდება. კერძოდ, ყირიმის ანექსიის შემდეგ დასავლეთსა და რუსეთს შორის გამწვავებულმა

ურთიერთობამ მნიშვნელოვნად შეცვალა უსაფრთხოების გარემო ჩრდილოეთ ევროპაში. რუსეთის მიერ განხორციელებული კონფრონტაციული ქმედებების შედეგად, სტაბილურობითა და კომერციული ინტენსივობით გამორჩეული ბალტიის ზღვის რეგიონი მკვეთრი დაძაბულობის ცენტრად იქცა (Dahl, 2018, გვ. 131).

ბალტიის ზღვასთან მიმართებაში რუსეთის ამოცანას წარმოადგენს, არ დაუშვას დასავლეთის დომინირება მისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონში. ამ მიზნის მისაღწევად, კრემლი უმნიშვნელოვანეს ამოცანად ისახავს ნორდის და ბალტიურ ქვეყნებში კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის მიმართ ნდობის შემცირებას/დაკარგვას. შესაბამისად, დასავლეთთან ურთიერთობის გამწვავების საწყისი ეტაპიდან, მასშტაბური სამხედრო წვრთნების, აგრესიული რიტორიკისა და კალინინგრადის ოლქის გამაღებული მილიტარიზაციის საშუალებით, რუსეთი აქტიურად ცდილობდა იმის დემონსტრირებას, რომ გააჩნია, როგორც რეგიონის დესტაბილიზაციის, ასევე დამხმარე ძალის შეჩერების სამხედრო შესაძლებლობა. რუსეთს ხელს უწყობდა ის ფაქტორიც, რომ ნატო-ს ბალტიის ზღვის რეგიონში აკლდა რუსული საფრთხის ერთიანი შეფასება და რეგიონის სამხედრო სტრატეგიული აღქმა (Wieslander, 2015, გვ. 1). მალევე გახდა ცხადი, რომ თანამედროვე კრიზისების განვითარების სისწრაფე და ჰიბრიდული საფრთხეები მეტ ყურადღებას და მზაობას საჭიროებდა როგორც რეგიონის ქვეყნების, ასევე ალიანსის მხრიდან.

კრემლის კიდევ ერთი ამოცანაა ბალტიის რეგიონში ნატო-ს გაფართოვებისთვის ხელის შეშლა. შვედეთ-ფინეთის ალიანსში განევრიანების შემთხვევაში, ბალტიის ზღვა ფაქტიურად „ნატო-ს შიდა ზღვად“ გადაიქცევა, რაც რუსეთის მდგომარეობას კიდევ უფრო გაართულებს რეგიონში. გარდა ამისა, სამხედრო თვალსაზრისით, კუნძულ გოტლენდის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე, შვედეთის დახმარების გარეშე ნატო-სთვის რთულდება ბალტიის ქვეყნების დაცვის მისია, რაც ეჭვქვეშ აყენებს არამარტო ზემოხსენებული ქვეყნების უსაფრთხოებას, არამედ ნატოს მეხუთე მუხლის დამაჯერებლობასაც.

ამავდროულად, კრემლში აცნობიერებენ, რომ ფინეთისა და შვედეთისთვის ალიანსის კარი ღიაა, ისინი სამხედრო თვალსაზრისითაც მზად არიან ნევრობისთვის, ერთადერთ წინაღობას ორივე ქვეყანაში არსებული საზოგადოებრივი აზრი წარმოადგენს (Dahl, 2018 გვ. 132). შესაბამისად, საჰაერო და საზღვაო სივრცის დარღვევებითა და პროვოკაციული სცენარებით სამხედრო წვრთნების ჩატარებით, რუსეთი ცდილობს თავისი პოლიტიკური მზაობისა და სამხედრო შესაძლებლობების დემონსტრირებას და ამით შვედეთ-ფინეთის დაშინებას, რათა მათ რუსეთის გაღიზიანებისგან თავი შეიკავონ და რეგიონში ნატო-ს კოლექტიური უსაფრთხოების ინიციატივებიდან გვერდით გადგნენ (Michta, 2014). ამიტომაც,

რუსეთის უმაღლესი თანამდებობის პირების რიტორიკაში დღემდე პირდაპირ ისმის მუქარა, თუ რა მოჰყვება ზემოხსენებული ქვეყნების ალიანსში გაწევრიანების მცდელობას. გარდა ამისა, კონფრონტაციის საწყის ეტაპზე საინფორმაციო ომის მთავარი დარტყმა ნორდული ქვეყნებიდან სწორედ შვედეთსა და ფინეთზე განხორციელდა (Schmidt Felzmann, 2017, გვ. 32).

რუსეთის ამოცანას ასევე წარმოადგენს ნორდულ რეგიონში თანამშრომლობის ინსტიტუციური ფორმატების გაძლიერებისთვის ხელის შეშლა, განსაკუთრებით თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში. 2009 წელს ნორდული თავდაცვის თანამშრომლობის (NORDEF) შექმნით დაწყებულმა პროცესმა ყირიმის ანექსიის შემდეგ განსაკუთრებული ხასიათი შეიძინა, რაც რუსეთის ინტერესებში არ შედის. ამიტომაც, კრემლი აქტიურად ცდილობს ამ კუთხით რეგიონში არსებული მწარე ისტორიული გამოცდილების აქცენტირებას. კერძოდ, გასული საუკუნის 30-იან და 40-იან წლებში ორჯერ უშედეგოდ დამთავრდა თავდაცვის სფეროში რეგიონული თანამშრომლობისთვის ინსტიტუციური ფორმის მიცემა (Mouritzen, 2019, გვ. 103). შესაბამისად, რუსეთის მიზანია, პროცესი ამჯერადაც კრახით დასრულდეს.

ყირიმის ანექსიის შემდეგ დასავლეთსა და რუსეთს შორის გაუარესებული ურთიერთობა უარყოფითად აისახა არქტიკის რეგიონზეც. ევროკავშირის სანქციებმა და რუსეთის კონტრ სანქციებმა შეამცირა ეკონომიკურ და ენერგო სფეროში თანამშრომლობა და ვაჭრობის მოცულობა. ეს არ იყო რუსეთისთვის ვითარების სასურველი სცენარით განვითარება, რადგანაც ბალტიის ზღვის რეგიონისგან განსხვავებით, კრემლი არქტიკაში უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში ცდილობდა დასავლეთთან ურთიერთობა კოოპერაციის ჩარჩოს არ გასცდენოდა და კონფრონტაციაში არ გადაზრდილიყო.

არქტიკის რეგიონში კონფლიქტის ესკალაცია რამდენიმე მიზეზის გამო არ შედის კრემლის ინტერესებში. პირველ რიგში, რუსეთის ეკონომიკა დამოკიდებულია არქტიკულ ბუნებრივი რესურსებზე. ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 11 % და ექსპორტის 22 % სწორედ არქტიკის რეგიონზე მოდის (Laruelle, 2020, გვ. 6). რეგიონის დესტაბილიზაცია კი მნიშვნელოვნად შეამცირებს ბუნებრივი რესურსების მოპოვებას. გარდა ამისა, რუსეთს არ გააჩნია საკმარისი ფინანსური შესაძლებლობა რეგიონის ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული განვითარებისთვის. ამისთვის მას ესაჭიროება უცხოური ინვესტიციები, რომლის მოზიდვასაც უკიდურესად გაართულებს რეგიონში კონფლიქტის ესკალაცია (Danish Defence Intelligence Service, 2019, გვ. 13-14). ასევე, რუსეთისთვის რეგიონში სტაბილურობა მნიშვნელოვანია ჩრდილოეთის სანაოსნო გზის (Northern Sea Route (NSR)) კუთხითაც, რომლის სატრანზიტო პოტენციალზეც მოსკოვი დიდ იმედებს ამყარებს (Closson, 2019, გვ. 10).

სწორედ ზემოხსენებული მიზეზების გამო, რუსეთის უმაღლესი გად-

ანეკდოტების მიმღები პირების რიტორიკაში, არქტიკასთან მიმართებაში აქცენტი კეთდება ეკონომიკურ განვითარებასა და რეგიონალურ თანამშრომლობაზე. ამავდროულად, კი რუსეთი უარს არ ამბობს პროვოკაციულ ნაბიჯებსა და თავდასხმითი შესაძლებლობების მქონე სამხედრო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე რეგიონში (Kristensen & Sakstrup, 2016, გვ. 27).

რეგიონში კონსტრუქციული აქტორის ილუზიის შექმნის მიზნით, მოსკოვი აქტიურად ცდილობს არქტიკულ ქვეყნებთან თანამშრომლობის ფორმატების შენარჩუნებას. განსაკუთრებით იმ საკითხებში, რომლებიც რეგიონში რუსეთის სტრატეგიული მიზნებისთვის მეორეხარისხოვანია (Karlsbakk, 2015). მაგალითად, მოსკოვი არქტიკული საბჭოს შეხვედრებს და სხვა არქტიკულ ფორუმებს იყენებს ყურადღების სამეცნიერო და კულტურულ თანამშრომლობაზე გადასატანად. რეალურად კი რუსეთი არქტიკაში არსებულ გეოპოლიტიკურ ვითარებას ნულოვან ჯამოვანი თამაშის ფარგლებში აფასებს და კონსტრუქციულობისა თუ თანამშრომლობის ილუზიის შექმნით მხოლოდ ყურადღების გადატანას, პოზიციების გამყარებასა და ფინანსური სარგებლის მიღებას ცდილობს.

პარალელურად, მოსკოვი 2007 წლიდან ახორციელებს რეგიონის რემილიტარიზაციას. კერძოდ, რუსეთმა სამხედრო ინფრასტრუქტურის შექმნის ფარგლებში საბჭოთა კავშირის დროინდელი 14 სამხედრო ბაზა განაახლა, ხოლო 6 ახალი ბაზა გახსნა (Laruelle, 2020, გვ. 10-11). გარდა ამისა, რუსეთმა ჩრდილოეთის ფლოტი და სხვა რამდენიმე შენაერთი ერთიან სტრუქტურაში მოაქცია და არქტიკულ სარდლობას დაუქვემდებარა. ეს კი მიუთითებს იმაზე, მოსკოვი აგრძელებს საბჭოთა „ბასტიონის სტრატეგიას“ (Mikkola, 2019, გვ. 4). ამ დოქტრინის ფარგლებში არქტიკას განსაკუთრებული გეოსტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნია იმ მხრივაც, რომ ბირთვული კონფრონტაციის შემთხვევაში, რუსეთსა და აშშ-ს შორის უმოკლესი ტრანეპტორია სწორედ არქტიკაზე გადის. ამიტომაც რუსეთის ჩრდილოეთის ფლოტი, ოთხი ფლოტიდან ყველაზე ძლიერი და მრავალრიცხოვანია, რომელიც რუსული საზღვაო ბირთვული შეიარაღების 81 %-ს აერთიანებს (Kristensen & Sakstrup, 2016).

რუსეთის მიერ რეგიონში გაზრდილ სამხედრო წარმომადგენლობას, თავდაცვითის გარდა გააჩნია თავდასხმითი შესაძლებლობები და შესაბამისი ზომების მიღებისკენ უბიძგებს სხვა სახელმწიფოებსაც. ეს კი რეგიონის მილიტარიზაციას უწყობს ხელს და ამცირებს თანამშრომლობის სივრცეს (Danish Defence Intelligence Service, 2019, გვ. 13-14), განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც რუსეთი სამხედრო პოტენციალს რეგიონში ნორდული ქვეყნების დასაშინებლად იყენებს. მაგალითად, არქტიკის სარდლობის ფარგლებში შექმნილი პირველი ბრიგადა მოსკოვმა 2015 წელს სწორედ ფინეთის საზღვრის მახლობლად განთავსდა. გარდა ამისა, 2017 წელს სამხედრო წვრთნების „Запад“-ის დროს რუსეთმა სიმულაციურად სვალბარდის არქიპელაგის დაკავების ოპერაციაც გაითამაშა

(Stormark, 2017).

მსგავსი პროგნოზიკული ქმედებებით კარგად ჩანს, რომ რუსეთის მილიტარისტული მიზნები წინააღმდეგობაში მოდის ნორდული ქვეყნების ინტერესებთან და საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და სტაბილურობას რეგიონში. მიუხედავად არქტიკის რეგიონში რუსეთის ეკონომიკური ინტერესებისა, კალინინგრადის გამოცდილებამ ნორდულ ქვეყნებს უკვე აჩვენა, რომ კრემლი ეკონომიკურ განვითარებაზე წინ მილიტარიზაციას აყენებს. ეს კი არქტიკის დასავლურ ქვეყნებს საპასუხო უსაფრთხოების ზომებისკენ უბიძგებს. ამის კარგი მაგალითია, 2018 წლის ოქტომბერ-ნოემბერში არქტიკის რეგიონში ნატო-ს მიერ ჩატარებული სამხედრო წვრთნები „Trident juncture“, რომელიც 1980-იანი წლების შემდეგ ყველაზე მასშტაბური იყო. მასში აქტიურად მონაწილეობდნენ შვედეთი და ფინეთიც. წვრთნები მიზნად ისახავდა ჩრდილოეთ ევროპის დაცვის მიზნით სამხედრო ძალების მზადყოფნისა და სწრაფად მობილიზების შემოწმებას. ასევე რეგიონის მნიშვნელობის ხაზგასმას ევროპის უსაფრთხოებისთვის და რუსეთისთვის შეკავების პოლიტიკის შეხსენებას (The Atlantic Council, 2018).

რუსეთიდან მომდინარე საფრთხეს ნორდულ ქვეყნებმა ეროვნულ დონეზე თავდაცვისა და უსაფრთხოების ხედვის რევიზიითაც უპასუხეს, რაც აისახა სტრატეგიულ დოკუმენტებსა და დოქტრინებში. ექსპედიციონურ პრინციპზე გარდაქმნილი შეიარაღებული ძალების მიუხედავად, ნორდულ ქვეყნებმა დაიწყეს ტერიტორიული დაცვის პრინციპების დაბრუნება და გაძლიერება. გადაიხედა რეზერვის, მობილიზაციისა და სამხედრო ინფრასტრუქტურის პრინციპები. გარდა ამისა, ქვეყნების პატარა ზომიდან და შეზღუდული რესურსებიდან გამომდინარე, რეგიონში რუსული საფრთხის შესაკავებლად კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა მიენიჭა ნატო-სა და ევროკავშირის გააქტიურებას ჩრდილოეთ ევროპაში. ამიტომაც, ორივე ორგანიზაციაში წევრი ნორდული სახელმწიფოები, პოლონეთთან და ბალტიის ქვეყნებთან ერთად, აქტიურად ხელს უწყობდნენ იმ ნარატივის განმტკიცებას, რომ დასავლეთსა და რუსეთს შორის კონფრონტაციის მთავარი ხაზი სწორედ ბალტიის ზღვის რეგიონზე გადის.

ზემოხსენებული ფაქტორებიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ნორდულ ქვეყნებსა და რუსეთს შორის არსებობს ღირებულებითი წინააღმდეგობა. შედეგად, გარდა იმისა, რომ ნორდულ პოლიტიკურ წრეებსა და საზოგადოებებში არ არსებობს რუსეთისადმი კეთილგანწყობა და მიმზიდველობა, ასევე, ისინი საერთაშორისო ასპარეზზე მოსკოვის ქმედებების მიმართ მკაცრი კრიტიკით გამოირჩევიან. რეგიონში ეკონომიკური და ენერჯო ბერკეტების სისუსტის გამო, კრემლი ვითარებას ვერ ცვლის. ნორდული ქვეყნების სამხედრო შესაძლებლობების, ალიანსების პოლიტიკისა და საერთაშორისო წონის გათვალისწინებით, დაბალია პირდაპირი სამხედრო კონფრონტაციის ალბათობაც. გარდა ამისა, არქტიკის რეგიონში თავად რუსეთის ინტერესებშიც არ შედის მათთან

ღია დაპირისპირებაში შესვლა. შესაბამისად, საერთო ჯამში, კრემლის მხრიდან ნორდულ ქვეყნებზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა შეზღუდულია, ამიტომაც აქცენტი კეთდება დაშინებისა და შიდა დესტაბილიზაციის სტრატეგიაზე, რომელშიც საინფორმაციო, კიბერ და გავლენის ოპერაციებს უმთავრესი ადგილი უჭირავთ.



### ისტორიული კონტექსტი: განვითარების პროცესი და მიზეზები

საინფორმაციო ომი არ წარმოადგენს თანამედროვე ეპოქის წარმონაქმნს. მის ელემენტებს მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანის, დემორალიზებისა თუ დეზორგანიზების მიზნით, კაცობრიობა ანტიკური ხანიდან იყენებდა, ძირითადად, საომარი მოქმედებების დროს. თუმცა, რუსეთმა საინფორმაციო ომს ახალი განზომილება შესძინა და იგი დასავლეთთან კონფრონტაციაში ბრძოლის ერთ-ერთ უმთავრეს ინსტრუმენტად აქცია. გარდა ამისა, დღეს რუსული საინფორმაციო ომი გაცილებით ფართო სტრატეგიულ მიზნებს ემსახურება, ვიდრე ეს ისტორიულად ხდებოდა სხვადასხვა ქვეყნის შემთხვევაში.

რუსეთის მხრიდან საინფორმაციო ომზე განსაკუთრებული აქცენტის გაკეთება განპირობებულია რამდენიმე მიზეზით. პირველ რიგში, უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში გლობალიზაციამ და საინფორმაციო-ტექნოლოგიურმა განვითარებამ საინფორმაციო ომი ახალ საფეხურზე აიყვანა. მიუხედავად საყოველთაო მოლოდინისა, რომ გლობალური ურთიერთდამოკიდებულება და ტექნოლოგიური წინსვლა მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცებას შეუწყობდა ხელს, რუსულ სტრატეგიულ აზროვნებაში ზემოხსენებული ტენდენციები სამხედრო-პოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალებად აღიქმება. კერძოდ, გლობალიზაცია და საინფორმაციო-ტექნოლოგიური განვითარება რუსეთის მიერ გამოყენებულ იქნა საინფორმაციო ომის შესაძლებლობის გასაზრდელად და გავლენის მოხდენის საშუალებების გასაძლიერებლად (Franke, 2015, გვ. 39). შესაბამისად, საინფორმაციო ომის კონცეფცია კარგად მოერგო გეოპოლიტიკური უპირატესობის მოსაპოვებლად რუსეთის რევიზიონისტულ სტრატეგიულ ხედვას და მძლავრ ინსტრუმენტად იქცა კრემლის საერთაშორისო, რეგიონული და საშინაო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად (Darczewska, 2014, გვ. 13).

რუსეთის მხრიდან საინფორმაციო ომზე აქცენტის გაკეთებას ხელი შეუწყო საბჭოთა სპეცსამსახურების კადრებიდან თანამედროვე რუსეთის პოლიტიკურ ელიტაში ე.წ. „სილავიკების“ ჯგუფის ფორმირებამ. ერთი მხრივ, მათი საშუალებით მმართველ წრეებში გაიზარდა საბჭოთა გამოცდილების მიმართ ინტერესი და პრაქტიკული ცოდნა. გარდა ამისა, „სილავიკების“ უსაფრთხოების აღქმაში ძალიან ძლიერი იყო მოსაზრება, რომ საინფორმაციო ომი არის დასავლური ინსტრუმენტი რუსეთის სუვერენიტეტისა და პოლიტიკური ერთობისთვის საფრთხის შესაქმნელად, რაც რუსეთს აუცილებლობის წინაშე აყენებდა,

განვითარებინა საპასუხო თავდაცვითი და თავდასხმითი შესაძლებლობები. მმართველი ელიტის ამ შეხედულებას ხელს უწყობდა საზოგადოებრივი აზრი, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლას დასავლეთთან საინფორმაციო ომში მარცხს უკავშირებდა.

საინფორმაციო ომის მეთოდების განვითარებას სტიმული მისცა 90-იანი წლების ბოლოდან საინფორმაციო კონტროლის, როგორც თავდაცვის მექანიზმის, გაძლიერებამაც. ამ ნაბიჯის მიზანი გახლდათ, გარე ძალების გავლენისაგან - სახელმწიფო უსაფრთხოებისა და შიდა ძალების წნეხისაგან რეჟიმის სტაბილურობის დაცვა. მედიისა და კომუნიკაციის საშუალებების სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ მოქცევამ ინფორმაციის დინების სასურველი გეზით მიმართვის სისტემის შექმნას შეუწყო ხელი. შედეგად, თავდაცვის მიზნით შექმნილ ინსტრუმენტს გაუჩნდა თავდასხმითი პოტენციალიც. ამ პროცესის კონცეპტუალური მხარდაჭერის მიზნით 2000 წელს რუსეთის უშიშროების საბჭომ მიიღო საინფორმაციო უსაფრთხოების დოქტრინა, რომელშიც ხაზი გაესვა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ინფორმაციის გარე აქტორებისაგან დაცვის აუცილებლობას. სწორედ, ზემოხსენებულ დოკუმენტში საინფორმაციო სივრცის დაცვის დაკავშირება მოხდა ისეთ საკითხებთან, როგორიცაა ეროვნული იდენტობის ფორმირება, რუსული ეთნოსისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, პატრიოტიზმისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის ამაღლება, ტრადიციული და მორალური ღირებულებების შენარჩუნება (Heikero, 2010, გვ. 17-18). საინფორმაციო ომის საკადრო და თეორიული უზრუნველყოფის მიზნით 2003 წელს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა ინფორმაციული უსაფრთხოების ინსტიტუტი (Darczevska, 2014, გვ. 10).

ასევე, საყურადღებოა კიდევ ორი ფაქტორი, რამაც 90-იან წლებში ხელი შეუწყო რუსეთისთვის საინფორმაციო ომის მნიშვნელობის ზრდას. პირველ რიგში, ეს უკავშირდება მწარე გამოცდილებით მიღებულ ტრავმას. კერძოდ, ახლო წარსულში, საბჭოთა კავშირმა ავღანეთში ვერ მოახერხა ადგილობრივ მოსახლეობაზე გავლენის მოხდენა და ასევე, მარცხი განიცადა საერთაშორისო საინფორმაციო სივრცეში. მსგავსი ვითარება განმეორდა ჩეჩნეთის პირველი ომის დროს. ორივე შემთხვევამ კარგად აჩვენა მოსკოვს, რომ საინფორმაციო უპირატესობის მოპოვებას რუსეთი ვერ ახერხებდა შეზღუდული რესურსების მქონე მონინააღმდეგესთანაც კი. შედეგად, საინფორმაციო კუთხით ნანახი ზიანი უფრო მტკივნეული იყო კრემლისთვის, ვიდრე - სამხედრო ოპერაციის დროს მიღებული დანაკარგი (Heikero, 2010, გვ. 14-15).

რაც შეეხება მეორე ფაქტორს, ტრანზიციის პერიოდში რუსეთში არსებული ფინანსური და მატერიალური რესურსების სიმწირე, სამხედრო განვითარების კუთხით რუს მეცნიერებს უბიძგებდა, უფრო იაფ, თეორიულ და სტრატეგიულ განვითარებაზე გაეკეთებინათ აქცენტი, რაც ასევე შეეხო საინფორმაციო ომის

კონცეფციასაც. შედეგად, გრძელვადიან პერსპექტივაში, რუსეთი საინფორმაციო ომის თეორიული და კონცეპტუალური თვალსაზრისით უფრო მომზადებული აღმოჩნდა, ვიდრე - დასავლეთი (Heikero, 2010, გვ. 14-15).

რუსული საინფორმაციო ომის კონცეფციის სერიოზული გადახედვა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ დაიწყო. რუსეთმა საკუთარ საზღვრებს გარეთ სამხედრო კონფლიქტის დროს პირველად მოარგო საკუთარი საინფორმაციო ომის მეთოდოლოგია ინტერნეტსა და საინფორმაციო-ტექნოლოგიების სხვა თანამედროვე საშუალებებს. ამას მოყვა, საკუთარი შეცდომებისა და საერთაშორისო გამოცდილების დეტალურად გაანალიზება და დასკვნების შედეგად მიღებული გადანვეტილებების იმპლემენტაცია (Giles K. , 2016, გვ. 35). საუბარი დაიწყო ე.წ. „საინფორმაციო შენაერთების“ (Information Troops) შექმნის შესახებაც, რომელსაც სამხედრო სტრუქტურების შიგნიდან უნდა ემართა საინფორმაციო ომის პროცესი. თუმცა, ეს ნიშნავდა საინფორმაციო ომის განზომილების დავინროებას და მხოლოდ სამხედრო ჩარჩოებში მოქცევას, მაშინ, როდესაც რუსეთს ინსტრუმენტის მშვიდობიანობის დროს გამოყენების შესაძლებლობაც არანაკლებ აინტერესებდა. შესაბამისად, ყურადღება გამახვილდა სამოქალაქო ასპექტზეც.

რუსეთის უსაფრთხოების სისტემის ბრიტანელი მკვლევარის კირ ჯაილსის შეფასებით, რუსეთის საინფორმაციო ომის კონცეფციის ტრანსფორმაცია ჯერაც არ დასრულებულა და დღემდე განვითარების პროცესშია. ის განიცდის ევოლუციას, ადაპტირდება გამოწვევებზე, ახდენს წარმატებული მეთოდების იდენტიფიცირებას და აძლიერებს მათ, ისევე როგორც ადგენს მარცხის მიზეზებს და ასწორებს მათ. ეს ვითარება მუდმივად კვლევისა და ანალიზის აუცილებლობის რეჟიმში ამყოფებს რუსული საინფორმაციო ომის შეკავებით დაკავებულ სახელმწიფოებსა და ორგანიზაციებს. თუ ისინი ჩათვლიან, რომ უკვე დამკვიდრებული და გამოყენებული მეთოდების საფუძველზე, მზად არიან რუსული საინფორმაციო საფრთხის შესაკავებლად, მომავალი დარტყმის დროს ისინი კვლავ მოულოდნელობის ეფექტის მსხვერპლნი გახდებიან (Giles K. , 2016, გვ. 2).

## კონცეპტუალური კონტექსტი: მეთოდები და ამოცანები

რუსული საინფორმაციო ომის კონცეპტუალური ჩარჩო წარმოადგენს არამართს სამხედრო სტრატეგიული აზროვნების ნაყოფს, არამედ ეფუძნება საბჭოთა კავშირის კულტურულ, სამეცნიერო, ისტორიულ და ფილოსოფიურ ცოდნას. ეს მას აძლევს არატრადიციულ ხასიათს და დასავლეთისგან განსხვავებით, მოქმედებს სხვა ლოგიკურ პრიზმაში (Thomas, 1998, გვ. 59). მიუხედავად ამისა, საყურადღებოა რამდენიმე თავისებურება, რაც რუსულ და საბჭოთა საინფორმაციო ომის კონცეფციას ერთმანეთისგან განასხვავებს.

პირველ რიგში, საბჭოთა საინფორმაციო ომის კონცეფციაში უმთავრესი ადგილი ეკავა აგიტაცია-პროპაგანდის ელემენტს, რომელიც დიდწილად იდეოლოგიურ პრინციპებს ეფუძნებოდა და სამიზნე აუდიტორიის დარწმუნებას, კეთილგანწყობის მოპოვებას და გადმობირებას ისახავდა მიზნად. საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ხედვაში ეს ლეგიტიმურ ინსტრუმენტად ითვლებოდა. თანამედროვე რუსულ საინფორმაციო ომის კონცეფციაში პროპაგანდის ელემენტები სუსტად არის წარმოდგენილი. ამის ძირითადი მიზეზი გახლავთ ის, რომ საბჭოთა პერიოდისგან განსხვავებით, განსაკუთრებით რუსული საინფორმაციო ომის საგარეო განზომილება დიდწილად დაცლილია იდეოლოგიური საფუძვლებისგან. ის არ ცდილობს იყოს პროპაგანდისტული და „გაყიდოს“ რუსეთი, როგორც იდეალური მოდელი. ხშირ შემთხვევაში ამოცანა ისიც კი არ არის, იყოს დამაჯერებელი და სარწმუნო. მისი მთავარი მიზანია წაშალოს ზღვარი სიმართლესა და სიცრუეს შორის.

თუმცა, უკანასკნელ პერიოდში გამოიკვეთა რუსეთის მხრიდან ნაციონალისტურ-კონსერვატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული იდეოლოგიური პლატფორმის შექმნის ტენდენცია, რომლის მიზანსაც წარმოადგენს ლიბერალიზმის საპირწონე იდეოლოგიურ ცენტრად ჩამოყალიბება. იგი, ძირითადად, საშინაო მოხმარებისთვის შეიქმნა, მაგრამ დღეს უკვე დასაყრდენს იოლად პოულობს დასავლეთის ქვეყნებშიც, სადაც ლიბერალური პოლიტიკური წესრიგი ეროზიას განიცდის და ულტრა-ნაციონალისტური ძალების აღმასვლის ტენდენცია ძლიერია. საშინაო მოხმარების თავდაცვითი მექანიზმის ეფექტურ საგარეო ინსტრუმენტად გადაქცევა უკავშირდება საბჭოთა და თანამედროვე რუსულ საინფორმაციო ომის კონცეფციებს შორის არსებულ მეორე მნიშვნელოვან განსხვავებას. კერძოდ, საუბარია საინფორმაციო ომის საშინაო და საგარეო განზომილებების მკაცრ გამიჯვნაზე ცივი ომის დროს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „რკინის ფარდა“ საინფორმაციო სივრცესაც ყოფდა, რაც საბჭოთა კავშირს განსხვავებული საშინაო და საგარეო საინფორმაციო კამპანიის წარმოების აუცილებლობის წინაშე აყენებდა. მიუხედავად იმისა, რომ საინფორმაციო კამპანიის საშინაო და საგარეო განზომილება დღესაც არსებობს, თანამედროვე რუსულ მიდგომაში

მათი გამიჯვნის სიმკვეთრე შემცირდა და გარკვეული ნარატივების შემთხვევაში სრულიად წაიშალა (Pynnöniemi & Rącz, 2016 , გვ. 39).

მიუხედავად ზემოხსენებული მცირე განსხვავებებისა, თანამედროვე რუსული საინფორმაციო ომის კონცეფცია დიდწილად, სწორედ, საბჭოთა ცოდნას ეფუძნება, განსაკუთრებით - საინფორმაციო-ფსიქოლოგიური განზომილების კუთხით. ამ მხრივ დღეს რუსეთის მიერ დასავლეთში ძირითადად გამოყენებული ორი კონცეფცია „რეფლექსიური კონტროლი“ და „აქტიური ღონისძიებები“, სწორედ, საბჭოთა თეორიული და პრაქტიკული გამოცდილების პირმშოს წარმოადგენენ.

„რეფლექსიური კონტროლის“ კონცეფცია, რომელიც მეოცე საუკუნის ადრეული 60-იანი წლებიდან ვითარდებოდა საბჭოთა სამხედრო და სამოქალაქო თეორეტიკოსების მიერ, მიზნად ისახავდა მონინაალმდეგის თვითდებორგანიზებას მიყვანას. ის გაცილებით ფართო კონცეფციაა, ვიდრე მონინაალმდეგისთვის არასწორი ინფორმაციის მინოდება და მისი შეცდომაში შეყვანა. ეს არის მონინაალმდეგის გადანვეტილების მიღების ალგორითმის შეცვლა. ამ მიდგომის გამოყენების შემთხვევაში, გარე მანიპულაციისა და ზემოქმედების საშუალებით, მონინაალმდეგე ქვეყნის ხელისუფლება ლებულობს მისთვის საზიანო გადანვეტილებას ან გადანვეტილებების სერიას, რასაც სისტემა მიჰყავს თვითდებორგანიზაციამდე. გარე მანიპულაციის მოსახდენად კი მნიშვნელოვანია მონინაალმდეგის სისუსტეების პოვნა და ამ სისუსტეების მისსავე წინააღმდეგ გამოყენება. ამ დროს უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს, მასის კოგნიტიური განზომილების შეცვლა, როგორც ინდივიდუალურ, ასევე კოლექტიურ ცნობიერებაზე გავლენის მოხდენის გზით. ამ შედეგის მისაღებად კი ფაქტობრივი ინფორმაციის ფაბრიკაციასთან ერთად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ემოციური მუხტის გამოწვევასა და მართვას (Giles K. , 2016, გვ. 20-21).

„აქტიური ღონისძიებები“ კონცეფციის სახით საბჭოთა დისკურსში გასული საუკუნის 70-იან წლებში გაჩნდა. 1984 წლის კვლევაში ტერმინი განმარტებულია როგორც „გარკვეული ღია და დაფარული ტექნიკების ერთობლიობა, რომელიც გავლენას ახდენს უცხო ქვეყანაში მოვლენებსა და ქცევებზე“ (Pynnöniemi & Rącz, 2016 , გვ. 38). „აქტიური ღონისძიებების“ გამოყენების შემთხვევაში, შიდა და გარე გავლენის ინსტრუმენტების საშუალებით ხდება მონინაალმდეგე ქვეყანაში ხელისუფლებისა და ინსტიტუტების მიმართ ნდობის შემცირება, ეთნიკური და რელიგიური შუღლის გაღვივება, უმცირესობების ნაქეზება, საზოგადოებაში ნიჰილიზმის, უკმაყოფილების, უსუსურობის განწყობის შექმნა, პოლიტიკური წესრიგისა და სისტემის დისკრედიტაცია, მეზობელ სახელმწიფოებთან სადაო თემების წამოწევა. ამ შემთხვევაში მონინაალმდეგის დესტაბილიზაცია შეიძლება ხდებოდეს კონკრეტული მოკლევადიანი ამოცანის გარეშე. გრძელვადიან მიზანს კი წარმოადგენს მონინაალმდეგის დასუსტება და მასზე უპირატესობის მოპოვება, რაც კარგად ჯდება რუსეთის მიერ არჩეული გეოპოლიტიკურ ნულოვან-ჯამ-

ოვანი თამაშის პარადიგმაში (Giles K. , 2016, გვ. 24).

საინფორმაციო ომის თეორიის მიხედვით, გარე ჩარევისგან თავის დასაცავად და საკუთარი სისუსტეების დასაფარად, ქვეყანას გააჩნია ე.წ. „ფილტრი“, რომელიც შედგება ცოდნისგან, იდეებისგან და გამოცდილებისგან (Pynnöniemi & Rącz, 2016 , გვ. 36-37). თუმცა, ეს „ფილტრი“ მონყვლადი ხდება საზოგადოებაში ემოციური ფონის ზრდასთან ერთად, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს ბუნებრივი კატაკლიზმებით, ეპიდემიებით, ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისებით და ა.შ. გარდა ამისა, არსებობს კიდევ ერთი ფაქტორი - არჩევნები, რომლის დროსაც ე.წ. „ფილტრი“ სუსტდება და საზოგადოება მონყვლადი ხდება საინფორმაციო ზეგავლენის მიმართ. შესაბამისად, როგორც „რეფლექსიური კონტროლის“, ასევე „აქტიური ღონისძიებების“ კონცეფციის გამოყენება ზრდის სასურველი შედეგის მიღების შესაძლებლობას. ამიტომაც, არჩევნების დროს კიდევ უფრო იზრდება განზრახ ყალბი, არასრული ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის, ხშირად, ავთენტურ ინფორმაციასთან ერთად, მიწოდება აუდიტორიისთვის მათი მოტივების, ემოციების, გადაწყვეტილებებისა და ხედვების შესაცვლელად.

## დემოკრატიული შეკავების კონცეფცია

რუსეთის საინფორმაციო ომის თეორიულად და პრაქტიკულად გამართული კონცეფცია მოწინააღმდეგე ქვეყნებს უბიძგებს მისი შეკავების ქმედითი მექანიზმის შემუშავების აუცილებლობისკენ. ზოგადად, შეკავების პოლიტიკის ორ უმთავრეს სვეტს წარმოადგენს საფრთხის წინასწარ განეიტრალება და დასჯა საპასუხო ზომებით (ან საპასუხო ზომებით დასჯის შიში). ორივე შემთხვევაში მაღალია ცდუნება, თავდაცვის დროს გამოყენებულ იქნას მეთოდები, რომლებიც თავსებადობაში არ მოდის დემოკრატიულ ღირებულებებთან. მაგალითად, საინფორმაციო ოპერაციებს, საფრთხის პრევენციის მიზნით, გარკვეული ძალები ცენზურის გამოყენებით უპირისპირდებიან, ხოლო საპასუხო ზომების სახით, დეზინფორმაციისა და პროპაგანდის წინააღმდეგ იგივე მეთოდებს იყენებენ. მსგავსი მიდგომები მოკლევადიან პერსპექტივაში ქმედითი მექანიზმის ფლობის ილუზიას ქმნის და მათი გამოყენებისკენ უბიძგებს სწრაფი შედეგის მიღების მოსურნე და შეზღუდული რესურსების მქონე ხელისუფლებებს.

რეალურად კი დემოკრატიულ ღირებულებებთან შეუთავსებელი თავდაცვის მეთოდების გამოყენება მოწინააღმდეგის წისქვილზე ასხმას ნყალს. განსაკუთრებით, რუსეთის შემთხვევაში, რომლის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს სწორედ დემოკრატიული სისტემის დისკრედიტაცია წარმოადგენს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რუსული საინფორმაციო ოპერაციების ამოცანაა, სამიზნე ქვეყანაში საფრთხის შეკავების საფუძველზე მოხდეს ღია საზოგადოების პრინციპიდან გადახვევა, სამოქალაქო უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა, რუსული საინფორმაციო კამპანიის შეკავების, დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული, მეთოდებისა და მიდგომების არაეფექტურად მიჩნევა. მოწინააღმდეგე საზოგადოებაში ამ დესტრუქციული მუხტის შეტანა რუსეთს უადვილებს შემდგომი, დემორალიზებისა და დეზორგანიზების ამოცანების შესრულებას.

ეს კარგად არის გაცნობიერებული ნორდიკული ქვეყნების ხელისუფლებების მიერ. შესაბამისად, მათ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს, რუსული საინფორმაციო და გავლენის ოპერაციების შეკავების პროცესში დემოკრატიული ღირებულებების დაცვა. გარდა ამისა, თავდაცვის დროს არ უნდა მოხდეს ისეთი მეთოდების გამოყენება, რომელიც შეუთავსებლობაში მოდის დემოკრატიულ პრინციპებთან. ეს არის ის წინაპირობა, რომელზეც ნორდიკული შეკავების პოლიტიკა არის დაფუძნებული. კვლევის სამიზნე სამივე ნორდიკული ქვეყნის გამოცდილება ამის კარგი ამსახველია. მაგალითად, ფინეთის თავდაცვის სამინისტროს კომუნიკაციის სამსახურის დირექტორის, მაქს არჰიპაინენის შეფასებით, რუსული საინფორმაციო ომის შეკავების პროცესში უმნიშვნელოვანესია, არ

მოხდეს ფინური ღირებულებებიდან გადახვევა და საპასუხო ზომების რუსულ მეთოდებზე აგება. აქ შეიძლება ცდუნება მაღალი იყოს, მაგრამ ამ დროს ხდება სწორედ იმ ღირებულებების ღალატი, რომელთა დასაცავადაც ამ ნაბიჯს დგამ. მართალია, ეს პრინციპული არჩევანი შენ გაყენებს უთანასწორო მდგომარეობაში მონინაალმდეგესთან, მას შეუძლია ყველაფერზე წასვლა, შენ არა, მაგრამ ეს ის ასიმეტრიაა, რომელსაც ბრძოლის დანებების წინ უნდა შეეგუო (Weinger, 2018).

ასევე, შვედეთის საგანგებო მდგომარეობის სამოქალაქო სააგენტოს წარმომადგენლის შეფასებით, რუსულ საინფორმაციო კამპანიაზე იმავე მეთოდებით პასუხი ტალახიან ღორთან ჭიდაობის გავს. მისთვის სიბინძურეში ყოფნა ბუნებრივი მდგომარეობაა, ხოლო შენ მასავით ისვრები. ამიტომაც, დემოკრატიული მიდგომა, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, გამჭვირვალება და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება არის წინააღმდეგობის საუკეთესო გზა (Löfgren, 2018). მსგავსი მოსაზრება გააჟღერა 2018 წლის მარტში დანიის თავდაცვის მინისტრმა კლაუს ფრედერიკსენმა ბრიუსელში ევროკავშირის დეზინფორმაციის თემაზე მომუშავე ჯგუფთან შეხვედრის დროს. მისი შეფასებით, დემოკრატიულ სისტემაში დეზინფორმაციასთან ბრძოლა უფრო რთულია, რადგანაც ხელისუფლება ღირებულებებიდან გამომდინარე, შეზღუდულია საკუთარ მოქმედებებში, მონინაალმდეგეს კი ეს შეზღუდვები არ გააჩნია (Ritzau, 2018).

საინფორმაციო ომში დემოკრატიული ღირებულებების დაცვისა და შენარჩუნების აუცილებლობამ წინ წამოწია ახალი, დემოკრატიული შეკავების კონცეფცია. ტრადიციული შეკავების პოლიტიკის მოდიფიცირება განაპირობა ორი ფაქტორის თანხვედრამ. პირველ რიგში, ტრადიციული შეკავება დამოკიდებულია ხისტ ძალაზე, რომელიც ჰიბრიდული მეთოდების წინააღმდეგ ნაკლებად ეფექტურია. დემოკრატიული შეკავების კონცეფცია კი ემყარება რბილ ძალას. სწორედ დემოკრატიულ ნორმებსა და ღირებულებებზე დაყრდნობით უნდა მოხდეს ჰიბრიდული საფრთხეებიდან ქვეყნის დაცვის მიდგომის შემუშავება. დემოკრატიული შეკავების კონცეფციაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს მედეგობის ამაღლებას, რაც გულისხმობს სახელმწიფოსა და საზოგადოების სისუსტეებისა და მოწყვლადი მხარეების პრევენციულად აღმოფხვრას, რათა მონინაალმდეგეს არ მიეცეს მისი საკუთარი მიზნებისთვის გამოყენების საშუალება. მიუხედავად იმისა, რომ ღია და დემოკრატიული გარემო ხელს უწყობს მონინაალმდეგეს საინფორმაციო და გავლენის ოპერაციების განხორციელების კუთხით, ამავედროულად, მოქალაქეთა ჩართულობა და მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობა ზრდის საზოგადოებრივ მედეგობას და საფრთხეების შეკავების შესაძლებლობას (Boulègue, Lutsevych, & Marin, 2018, გვ. 2). საზოგადოების მაღალი მედეგობის საშუალებით უნდა მოხდეს მონინაალმდეგის სტრატეგიული მიზნებისთვის ხელის შეშლა, რათა მომავალში მას საინფორმაციო ოპერაცია აღარ უღირდეს დახარჯული დროისა და რესურსების თვალსაზრისით (Wigell, 2019, გვ. 11). ამის



კარგი მაგალითია, 2016 წელს „Sputnik“-ის ხელმძღვანელობის მიერ ნორდისკულ ქვეყნებში წარმომადგენლობების დახურვა, რომლებმაც ვერ მოახერხეს აუდიტორიის მობილიზება და ვერ გაამართლა განულები ხარჯი.

რაც შეეხება მეორე ფაქტორს, ტრადიციული შეკავების პოლიტიკა სახელმწიფო-ცენტრისტული და ნაკლებად ინკლუზიური მიდგომაა, მაშინ როდესაც დემოკრატიული შეკავების კონცეფცია ერთიან საზოგადოებრივ (whole-of-society) მიდგომას ეფუძნება, რომლის დროსაც სახელმწიფოს მაკოორდინირებელი როლი ეკისრება. მისი საშუალებით ხდება რესურსების მობილიზება, ინსტიტუტების გაძლიერება, ნარატივებისა და სტრატეგიების შექმნა და ა.შ., მაგრამ სახელმწიფო არ წარმოადგენს ერთადერთ აქტორს და ჰიბრიდული საფრთხეებიდან დაცვის ვალდებულებები თუ პასუხისმგებლობები გადანაწილებულია საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებზე (Wigell, 2019, გვ. 9-10).

იმის გათვალისწინებით, რომ ეროზიას განიცდის კლასიკური სახელმწიფო ცენტრისტული საერთაშორისო წესრიგი, იშლება საზღვრები როგორც ქვეყნის შიდა და გარე აქტორებს, ასევე საომარ და სამშვიდობო მდგომარეობას შორის, ასეთ ვითარებაში სახელმწიფოებს სულ უფრო უჭირთ თანამედროვე საფრთხეების ძველებურად, მარტო გამკლავება, ბრძოლაში საზოგადოების ყველა ჯგუფის აქტიური მონაწილეობის გარეშე. დემოკრატიული შეკავების კონცეფციის მიხედვით კი, საზოგადოების თითოეული ნაწილი, საკუთარი შესაძლებლობიდან, ცოდნიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე, ერთვება ქვეყნის ერთიანი მედეგობის სისტემის შექმნაში და პასუხისმგებლობას იღებს კრიზისულ ვითარებაში დაკისრებული ფუნქციების უწყვეტად შესრულებაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთიანი საზოგადოებრივი მიდგომის ფარგლებში სახელმწიფოს მიერ დივერსიფიცირებული და დელეგირებულია უსაფრთხოების პასუხისმგებლობები საზოგადოების სხვადასხვა აქტორებზე და თავად ასრულებს ძლიერი მაკოორდინირებლის ფუნქციას (Wigell, 2019, გვ. 10). ეს მიდგომა სახელმწიფოსთვის მომგებიანია რამდენიმე თვალსაზრისით. მაგალითად, მედიისა და სამოქალაქო სექტორის ჩართვით, ხელისუფლების მხრიდან ხდება არამარტო საინფორმაციო ოპერაციების შეკავების მექანიზმების გაფართოვება, არამედ სახელმწიფო რესურსის ოპტიმიზაციაც.

ფუნქციების სხვადასხვა საზოგადოებრივ და სახელმწიფო აქტორზე გადანაწილების განსხვავებული მოდელები არსებობს. ნორდისკული ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე, უწყებათშორისი კოორდინაციის გაღრმავება, ადრეული შეტყობინების სისტემის გაძლიერება, დეზინფორმაციასთან ბრძოლის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება ის ნაბიჯებია, რომლებზეც სახელმწიფო იღებს პასუხისმგებლობას. მედია კი ე.წ. „ყალბი ამბების“ იდენტიფიცირების, „ფაქტების შემოწმების“ მექანიზმის გამართვითა და საგამოძიებო ჟურნალისტიკის ნახალისებით ერთვება დეზინფორმაციასთან ბრძოლაში.

არასამთავრობო ორგანიზაციები, ანალიტიკური და კვლევითი ცენტრები კი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების გამოყენებით, დახმარებას უწევენ როგორც სახელმწიფოს, ასევე მედიას. ასევე, მნიშვნელოვანია სისტემის გამჭვირვალება, რაც ერთის მხრივ მედიისა და სამოქალაქო სექტორისთვის ზრდის დეზინფორმაციის გადამონმების შესაძლებლობას, მეორე მხრივ კი ხელს უწყობს საზოგადოების ნდობის კონსოლიდაციას. ამავდროულად, დემოკრატიული შეკავების კონცეფციის წარმატებული ფუნქციონირებისთვის უმთავრეს წინაპირობას წარმოადგენს:

- » ძლიერი და გამჭვირვალე სახელმწიფო ინსტიტუტები;
- » ავტონომიური სამოქალაქო საზოგადოება;
- » ინკლუზიური პოლიტიკური სისტემა;
- » დამოუკიდებელი მედია.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის საინფორმაციო ოპერაციების შეკავების ნორდისკული ქვეყნების სტრატეგია სწორედ დემოკრატიული შეკავების კონცეფციას ჩარჩოებში ჯდება, თითოეულ მათგანს გააჩნია საკუთარი თავისებურებები, რომელთა განხილვა აუცილებელია ინდივიდუალური ანალიზის საფუძველზე.

### საფრთხის გააზრება

საპარლამენტო არჩევნების რუსული საინფორმაციო გავლენისგან დაცვის შვედეთის ხელისუფლების სტრატეგია წარმოადგენდა საფრთხის ადრეულად გააზრების, საზოგადოებასთან სწორი კომუნიკაციისა და სათანადო პრევენციული ზომების მიღების სინთეზს. უპირველეს ყოვლისა, საფრთხის განეიტრალებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია იმის დროულად გაცნობიერება, რომ იგი ნამდვილად არსებობს. ყირიმის ანექსიის შემდეგ შვედეთში მკვეთრად გაზრდილი რუსული საინფორმაციო აქტივობებიდან და სხვა დასავლური ქვეყნების მწარე საარჩევნო გამოცდილებიდან გამომდინარე, შვედეთის ხელისუფლებისთვის ნათელი იყო, რომ რუსეთი 2018 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებზე გავლენის მოხდენას შეეცდებოდა. ასევე, გააზრებული იყო ის ფაქტიც, რომ არჩევნების დაცვას გააჩნდა არა მხოლოდ ეროვნული უსაფრთხოების განზომილება, არამედ რუსეთი დემოკრატიული არჩევნების საყოველთაო პრინციპსაც ესხმოდა თავს (Brattberg & Maurer, 2018).

შვედეთის ხელისუფლების მხრიდან საფრთხის სათანადოდ გაცნობიერების კარგი მაგალითია, ქვეყნის პრემიერ მინისტრის, სტეფან ლოვენის მიერ 2017 წლის მარტში შვედურ გამოცემა „Dagens Nyheter“-ში გამოქვეყნებული სტატია. პრემიერის შეფასებით, სხვა დასავლური ქვეყნების გამოცდილება არ იძლეოდა მშვიდად ყოფნის საშუალებას, რომ საპარლამენტო არჩევნები გარე ჩარევის მცდელობის გარეშე ჩაივლიდა. მან დაუფარავად განაცხადა, რომ შვედურ დემოკრატიაზე თავდასხმა უკვე დაწყებული იყო და ეს პროცესი წინასაარჩევნოდ კიდევ უფრო გაძლიერდებოდა. ლოვენმა პირდაპირ დაადანაშაულა რუსეთი საკუთარი ინტერესების განსახორციელებლად შვედეთის ხელისუფლებასა და მოსახლეობაზე გავლენის მოხდენის მცდელობაში. თუმცა, პრემიერ მინისტრმა, ასევე, ხაზგასმით აღნიშნა, რომ შესაბამისი შვედური უწყებებისთვის სიახლეს არ წარმოადგენდა რუსეთის მეთოდები და ისინი მობილიზებული დახვდებოდნენ რუსული საფრთხის ახალ ტალღას (Radio Sweden, 2017).

გადაწვეტილების მიმღები სხვა პირების მხრიდანაც საფრთხეებზე პირდაპირ საუბარმა ნათელი გახადა, რომ ხელისუფლების მოქმედების სტრატეგია ეფუძნებოდა მაქსიმალურ გამჭვირვალებას და სიფხიზლეს (Berzina, 2018). გამჭვირვალებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საზოგადოებასთან სწორი კომუნიკაციის თვალსაზრისით. პირველ რიგში, ხელისუფლების ღიაობამ, ყველა დონეზე ესაუბრა გამონვევის რეალობასა და ხარისხზე, გაზარდა საზოგა-

დოების ცნობიერება და საფრთხის აღქმადობა. ეს კი შვედეთის მთავრობისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, რადგანაც ცხადად მოხდა იმის გაცნობიერება, რომ საინფორმაციო ომის შეკავების გრძელვადიანი, ქმედითი სტრატეგია სოციეტალური მედეგობის გაზრდაზე გადის. შესაბამისად, შვედეთის ხელისუფლების მიერ შემუშავებულ ერთიან საზოგადოებრივ (whole-of-society) მიდგომაში მოსახლეობის ინფორმირებულობას, მზაობასა და ჩართულობას უმთავრესი დატვირთვა მიეცა (Pamment, Nothhaft, Agardh-Twetman, & Fjällhed, 2018, გვ. 90).

### საფრთხის მასშტაბი და ხასიათი

რუსეთისთვის სტოკჰოლმი სამიზნეს წარმოადგენს რამდენიმე მიზეზის გამო. პირველ რიგში, როგორც უკვე აღინიშნა, ბალტიის ზღვის უსაფრთხოების კონტექსტში, კრემლს აფრთხობს შვედეთის გეო-სტრატეგიული მდებარეობა, განსაკუთრებით ქვეყნის ნატო-სთან დაახლოების ქრილში. ასევე, მოსკოვისთვის მიუღებელია შვედეთის აქტიური დიპლომატიური როლი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან მიმართებაში და სტოკჰოლმის კრიტიკული დამოკიდებულება რუსეთის ხელისუფლების მიერ ქვეყნის შიგნით და მეზობელ სახელმწიფოებში წარმოებული არადემოკრატიული პროცესების მიმართ.

შვედეთის პოლიტიკური ელიტის და ტრადიციული მედია საშუალებების მხრიდან რუსეთის მიმართ კრიტიკულ დამოკიდებულებას ემატებოდა საზოგადოებრივი განწყობაც. კერძოდ, შვედეთის მოსახლეობის 87%-ს ყირიმის ანექსიის შემდეგ ნეგატიური დამოკიდებულება გააჩნდა საერთაშორისო ასპარეზზე რუსეთის პრეზიდენტის ქმედებების მიმართ (Pew Research Center, 2017). შესაბამისად, რუსული საინფორმაციო კამპანიის თავდაპირველი მიზანი შვედეთში, რუსეთი აგრესორად არ წარმოჩენილიყო და უკრაინაში მისი როლის გაკეთილშობილება მომხდარიყო, თავიდანვე განწირული იყო მარცხისთვის.

შედეგად, რუსული საინფორმაციო კამპანია მალევე გადაერთო სხვა რეჟიმზე და შვედურ საზოგადოებაში დესტრუქციული მუხტის შეტანაზე გააკეთა აქცენტი. საინფორმაციო თავდასხმები გახშირდა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინსტიტუტებზე. მათი დისკრედიტაციის მიზნით, სოციალური ქსელების საშუალებით ვრცელდებოდა ათეულობით გაყალბებული სახელმწიფო დოკუმენტი. ასევე, ადგილი ჰქონდა შვედეთის პოლიტიკური და სამხედრო ლიდერების რიდიკულიზაციას, რაც მიზნად ისახავდა საჯარო უწყებების მიმართ მოსახლეობის ნდობის შემცირებას (Braw, 2018). გარდა ამისა, რუსული საინფორმაციო ოპერაციების სამიზნე გახდნენ შვედური ლირებულებები და ცხოვრების წესი, დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა, კრემლის პოლიტიკის მიმართ კრიტიკულად განწყობილი ჟურნალისტები და ექსპერტები.

მოსახლეობაში დეზორგანიზების გამონვევისა და უნდობლობის გაღვივების მიზნით, ძირითადი აქცენტი გაკეთდა საზოგადოებრივი განხილვის განსაკუთრე-

ბულ სენსიტიურ თემებზე. რადგანაც შვედეთში საზოგადოება ორ, თითქმის თანაბარ ნაწილად არის გაყოფილი იმიგრაციისა და ქვეყნის ნატო-ში განევრიანების საკითხებთან დაკავშირებით, რუსული საინფორმაციო და გავლენის ოპერაციების ძირითადი დანოლა, სწორედ, ამ თემებზე მოდიოდა. იმიგრაციის პრობლემის დაკავშირება ყველა საშუალებით ხდებოდა ევროკავშირთან. ნატო-სთან მიღწეული შეთანხმებების შესახებ ვრცელდებოდა განზრახ დამახინჯებული ფაქტები და ინტერპრეტაციები, რაც მიზნად ისახავდა ევრო-ატლანტიკური სტრუქტურების მიმართ უარყოფითი განწყობის შექმნას მოსახლეობაში.

რუსული საინფორმაციო კამპანია განსაკუთრებით გააქტიურდა წინასაარჩევნოდ. შვედეთის უსაფრთხოების სამსახურის (Säpo) ინფორმაციით, 2014 წლის წინასაარჩევნო პროცესებისგან განსხვავებით, მკვეთრად გაიზარდა არჩევნების შედეგებზე გავლენის მოხდენის მცდელობის შემთხვევები. გარე ძალების მხრიდან, სოციალური ქსელების, საერთაშორისო მედიისა და სხვა საინფორმაციო საშუალებების გამოყენებით, ხდებოდა დეზინფორმაციის გავრცელება, რაც მიზნად ისახავდა შვედური საზოგადოების პოლარიზებას სხვადასხვა პოლიტიკურ და სოციალურ საკითხებზე. ამას ემატებოდა კიბერ თავდასხმები პოლიტიკურ პარტიებსა და საარჩევნო სამსახურებზე. ეს კი ემსახურებოდა ამოცანას, წინასაარჩევნო ქაოსისა და საარჩევნო სისტემის დაუცველობის განწყობა შეექმნა ქვეყანაში. შვედური სპეცსამსახურები ფრთხილობდნენ, ბრალდებები არ გაეჟღერებინათ კონკრეტული სახელმწიფოს მიმართ, მაგრამ ხაზს უსვამდნენ შვედეთში გამოყენებული მეთოდების მსგავსებას, ევროპის სხვა ქვეყნებსა და აშშ-ში საარჩევნო პროცესების დროს გარე ძალების მხრიდან განხორციელებულ დესტრუქციულ ქმედებებთან (Swedish Security Service, 2018).

შვედეთის თავდაცვის კვლევის სააგენტოს (FOI) მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, 2018 წლის ივლისსა და აგვისტოში, სწორედ, არჩევნების წინ, სოციალურ ქსელებში ე.წ. „ბოტების“ რაოდენობა გაორმაგდა. ასევე, არჩევნების მოახლოვებასთან ერთად გაიზარდა „Twitter“-ში ბოტების მიერ პოლიტიკური თემების გენერირების წილი. კვლევის ჩატარების პერიოდში, არჩევნებთან დაკავშირებული პოლიტიკური მასალის 16% „ბოტების“ მიერ იყო გავრცელებული. გარდა ამისა, „ბოტების“ მხრიდან, სწორედ, იმ საკითხებზე კეთდებოდა აქცენტი, რომელიც წინასაარჩევნო დისკურსში განსაკუთრებული სენსიტიურობითა და სიმწვავეთ გამოირჩეოდა ( FOI, 2018, გვ. 3).

### სახელმწიფო მიდგომა

რუსული საინფორმაციო ოპერაციების შეკავების მიზნით, შვედეთის ხელისუფლების მხრიდან აქცენტი გაკეთდა პრო-აქტიურ, პრევენციულ მიდგომაზე, რადგანაც მოხდა იმის გაცნობიერება, რომ მხოლოდ საპასუხო ზომებით საფრთხეს თავიდან ვერ აიცილებდა და „ცეცხლის ჩამქრობის“ როლში იქნებოდა.

პირველ რიგში, სახელმწიფო დონეზე შემუშავებულ იქნა ერთიანი სამთავრობო (whole-of-government) მიდგომა, რომელიც მთელ რიგ სახელმწიფო უწყებებს აერთიანებდა. მაკოორდინებელის ფუნქცია საგანგებო სიტუაციების სამოქალაქო სააგენტოს (Civil Contingencies Agency (MSB) დაეკისრა, ხოლო უწყებათმორისი თანამშრომლობის განმტკიცება - შვედეთის საჯარო მმართველობის სააგენტოს. არჩევნების დაცვის საკითხის საგანგებო მდგომარეობის სამოქალაქო სააგენტოს კომპეტენციაში მოქცევით, შვედეთის ხელისუფლებამ საარჩევნო ადმინისტრაცია აქცია კრიტიკულ ინფრასტრუქტურად. გარდა ამისა, სწორედ, მას დაევალა მედიასთან ურთიერთობა და საარჩევნო ადმინისტრაციაში დასაქმებული საჯარო მოხელეების გადამზადება. შედეგად, სხვადასხვა მხრივ არჩევნების ჩატარებასთან პირდაპირ თუ არაპირდაპირ დაკავშირებულ 10 000-ზე მეტ საჯარო მოხელეს ჩაუტარდა სპეციალური მომზადება არჩევნებზე დეზინფორმაციის ნეგატიური გავლენისა და მისი დროულად აღმოჩენის მნიშვნელობის შესახებ (Brattberg & Maurer, 2018).

ასევე, საგანგებო მდგომარეობის სამოქალაქო სააგენტოს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, პოლიციისა და საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ, არჩევნების კოორდინირებულად დაცვის მიზნით, შეიქმნა მაღალი დონის ფორუმი. ახალმა ფორმატმა გაზარდა ინფორმაციის გაცვლისა და საფრთხეების ანალიზის კუთხით უწყებათმორისი თანამშრომლობა. ფორუმის წარმომადგენლების მხრიდან რეგულარული ვიზიტები განხორციელდა ქვეყნის რეგიონებში და მუნიციპალურ დონეზე მოხდა საფრთხეების შეფასება (Cederberg, 2018, გვ. 18).

ინსტიტუციური კომპეტენციებისა და ვალდებულებების განსაზღვრის გარდა, ყურადღება გამახვილდა საკითხის კონცეპტუალურ მხარეზეც. 2017 წლის იანვარში გამოქვეყნდა ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია, რომელშიც დემოკრატიული არჩევნებისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვის აუცილებლობაზე განსაკუთრებული აქცენტი იქნა გაკეთებული. დოკუმენტმა კონცეპტუალური საფუძველი შეუქმნა ხელისუფლების ყველა იმ ღონისძიებას, რომელიც მომავალი წლების განმავლობაში გატარდა დემოკრატიის დასაცავად ქვეყანაში. ამას მოჰყვა იუსტიციის სამინისტროს მიერ საზოგადოების საინფორმაციო და კიბერ უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგიის გამოქვეყნება, რასაც დაეფუძნა კიდევ არჩევნების დაცვის ერთობლივი საზოგადოებრივი მიდგომა. იმავე წლის შვედეთის უსაფრთხოების სამსახურის ყოველწლიურ ანგარიშშიც ინფორმაციულ უსაფრთხოებას უდიდესი ყურადღება დაეთმო (Cederberg, 2018, გვ. 11-12).

თავდაცვის პოლიტიკის გაძლიერების განკარგულებაში (2015-20) საინფორმაციო გავლენის ოპერაციებს განსაკუთრებული საფრთხის სტატუსი მიენიჭა და პარლამენტმა მხარი დაუჭირა სახელმწიფო უწყებების შესაძლებლობების გაძლიერებას საინფორმაციო კამპანიის იდენტიფიცირების, ანალიზისა და შეკა-

ვების მიზნით (Pamment, Nothhaft, Agardh-Twetman, & Fjällhed, 2018, გვ. 12). მოგვიანებით, სახელმწიფომ საინფორმაციო ომიდან მომდინარე საფრთხის შესწავლის პროცესში უნივერსიტეტები და ანალიტიკური ცენტრებიც ჩართო. სპეციალურად გამოიყო კვლევითი გრანტები, რათა ზემოხსენებულ ინსტიტუტებს კონცეპტუალურ დონეზე გამოეკვლიათ პრობლემა და სახელმწიფოსთვის შეემუშავებინათ რეკომენდაციები.

ცვლილებები შეეხო საკანონმდებლო ჩარჩოსაც. კერძოდ, 1996 წელს მიღებული, მოძველებული „შვედეთის უსაფრთხოების აქტი“ შეიცვალა და პარლამენტის მიერ იქნა დამტკიცებული, ახალი „დამცავი უსაფრთხოების“ შესახებ კანონით, რომელშიც ყურადღება გამახვილდა ინფორმაციულ უსაფრთხოებაზე. ახალი კანონის მიხედვით, სახელმწიფო უწყებებს კერძო კომპანიებთან კონფიდენციალური ინფორმაციის შემცველი ნებისმიერი მომსახურების შესახებ კონტრაქტის დადებამდე შვედეთის უსაფრთხოების სამსახურთან და შეიარაღებულ ძალებთან უნდა გაიარონ სავალდებულო კონსულტაცია. გარდა ამისა, საგანგებო მდგომარეობის სამოქალაქო სააგენტოს მიეცა მანდატი, საინფორმაციო-ტექნოლოგიური ოპერატორებისთვის დაეკისრებინა სანქციები, თუკი ისინი ქვეყნის ახალ რეგულაციებს არ შეასრულებდნენ (Cederberg, 2018, გვ. 12).

გააქტიურდა საერთაშორისო თანამშრომლობაც. 2017 წლის იანვარში შვედეთის საგანგებო მდგომარეობის სამოქალაქო სააგენტოსა და ნატო-ს სტრატეგიული კომუნიკაციის სრულყოფის ცენტრს შორის გაფორმდა თანამშრომლობის შეთანხმება (NATO StratCom COE, 2017). გარდა ამისა, იმავე წლის აპრილში შვედეთი გახდა ჰიბრიდული საფრთხეების შეკავების ევროპული სრულყოფის ცენტრის დამფუძნებელი წევრი. შვედეთის დიგიტალიზაციის მინისტრი პიტერ ერიკსონი კალიფორნიაში შეხვდა „Google“-ის, „Facebook“-ისა და „Twitter“-ის ხელმძღვანელობას და დახმარება სთხოვა დეზინფორმაციის შეკავების მიმართულებით. „Facebook“-თან მიმართებაში შვედეთის სურვილი იყო, შვედეთის შესაბამისი უწყებების მიმართვის საფუძველზე, ყალბი ანგარიშების გაუქმება მომხდარიყო ოპერატიულად. ასევე, „Facebook“-ის მხრიდან მანიპულაციის ტენდენციების შესახებ დაუყოვნებლივ ინფორმირებული ყოფილიყვნენ შესაბამისი შვედური უწყებები. „Twitter“-სგან კი შვედეთმა პოლიტიკური რეკლამის უკან მდგარი აქტორებისა და დაფინანსების წყაროების შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალეობის გარანტია მიიღო (Santalo, 2018).

### ფსიქოლოგიური თავდაცვა

შვედეთში ცივი ომის დროს არსებულ „ტოტალური თავდაცვის“ დოქტრინაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა საინფორმაციო და ფსიქოლოგიური თავდაცვის კომპონენტს. თუმცა, ცივი ომის დასრულების შემდეგ ამ კონცეფციის გადახედვამ, ქვეყანა მოწყვლადი გახდა საინფორმაციო თავდასხმების დროს. რუსეთთან

ურთიერთობის გამწვავების შემდეგ შვედეთს დიდი რესურსების მობილიზება მოუხდა ზემოხსენებული შესაძლებლობების აღსადგენად და გასაძლიერებლად. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ქვეყანაში ამ კუთხით არსებული ტრადიციიდან, ცოდნიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე, შვედეთში ეს პროცესი შედარებით სწრაფად მიმდინარეობს.

შვედეთის ხელისუფლებისთვის ფსიქოლოგიური თავდაცვის მნიშვნელობას ხაზს უსვამს ის ფაქტიც, რომ 2018 წლის დასაწყისში ქვეყნის პრემიერმა გაახმოვანა ფსიქოლოგიური თავდაცვის სააგენტოს შექმნის ინიციატივა. თუმცა, ვერ მოხდა ახალი სამსახურის კომპეტენციისა და უფლებამოსილების განსაზღვრა, ასევე გაურკვევლად რჩება დაფინანსების საკითხიც. შესაბამისად, დღემდე ფსიქოლოგიური თავდაცვის ფუნქცია რამდენიმე შესაბამის უწყებაზე არის გადანაწილებული. მიუხედავად იმისა, რომ ინიციატივის მატერიალიზება ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა, თავად სამსახურის შექმნის სურვილი მეტყველებს, რომ შვედეთის ხელისუფლება ქვეყნის საინფორმაციო და გავლენის ოპერაციების განდაცვის დროს, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ფსიქოლოგიური თავდაცვის შვედური კონცეფციის სამ უმთავრეს პრინციპს:

- » მოხდეს დეზინფორმაციისა და პროპაგანდის შეკავება;
- » კრიზისის დროს ხელისუფლებამ შეუფერხებლად შეძლოს გზავნილების კომუნიკაცია ყველა დონეზე;
- » გაძლიერდეს საზოგადოების განწყობა ქვეყნის დაცვის კუთხით (Rossbach, 2017, გვ. 1-2).

### მედია მიდგომა

შვედური ტრადიციული მედია აქტიურად ჩაერთო დეზინფორმაციის გამოვლენისა და ყალბი წყაროების მხილებაში, რაც განპირობებული იყო რამდენიმე ფაქტორით. პირველ რიგში, შვედურმა მედიამ 2016 წელს საკუთარ თავზე იწვინა რუსული ჰიბრიდული მეთოდები, როდესაც ქვეყნის საზღვრებს გარედან კოორდინირებული კიბერ თავდასხმის შედეგად, შვიდი მთავარი მედია საშუალების ვებ-გვერდები ერთდროულად გაითიშა. გარდა ამისა, შვედურ მედიას გააჩნია დიდი მორალური პასუხისმგებლობა, რადგანაც შვედეთის მოსახლეობა მის მიმართ განსაკუთრებული ნდობით გამოირჩევა, მაშინ როდესაც სკეპტიკურად უყურებს სოციალურ მედიას. მაგალითისთვის, საზოგადოების მხოლოდ 12% ენდობა „Facebook“-ზე გამოქვეყნებულ ინფორმაციას (Cederberg, 2018, გვ. 23). აქედან გამომდინარე, ტრადიციული მედია საშუალებები ძალისხმევას არ იშურებენ, რომ საზოგადოების ნდობა შეინარჩუნონ. საკუთარი ინფორმაციის ავთენტურობისა და მიუკერძოებლობის ხაზგასმის მიზნით, მედია საშუალებების ნაწილმა საკუთარ ვებ-გვერდზე სტატიების ქვემოთ განათავსა ორი დამატებითი



ლილაკი, რომელიც მკითხველს საშუალებას აძლევს, პირადად მიუთითოს ავტორს ფაქტობრივი უზუსტობა, ან უხეში დარღვევების შემთხვევაში, მედია რეგულატორს და პრესის ომბუდსმენს მიაწოდოს მასალა.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ შვედურ მედიას გააჩნია რამდენიმე თავისებურება, რაც მას უადვილებს დეზინფორმაციასთან ბრძოლას. პირველ რიგში, დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მაღალი ხარისხის პარალელურად, შვედურ მედიას ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იან წლებიდან მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებს სახელმწიფოსთან, რამაც ხელი შეუწყო საინფორმაციო უსაფრთხოების დაცვასა და კრიზისების მართვაში მედიის როლის ზრდას. კრიზისების დროს სახელმწიფოსა და მედიას შორის კოორდინაცია ხდება ე.წ. „მედია მზადყოფნის საბჭოს“ საშუალებით, რომელსაც საგანგებო მდგომარეობის სამოქალაქო სააგენტო ნელინადში ოთხჯერ იწვევს. (Cederberg, 2018, გვ. 23) გარდა ამისა, არსებობს პრესის დახმარების სახელმწიფო პროგრამა, რომელიც გარკვეული ტირაჟის მქონე მედია საშუალებებს ფინანსურ დახმარებას უწევს. პროგრამა პატარა პროფილურ, ან რეგიონალურ მედია საშუალებებს, ისევე როგორც ეროვნული მასშტაბის, დიდ მედია კომპანიებს აძლევს სახელმწიფო სუბსიდირების მიღების შესაძლებლობას (The Government of Sweden, 2018). შესაბამისად, მედია საშუალებები ფინანსურად არიან თვითკმარი და ეს მათ აძლევთ დაფინანსების სხვა წყაროების ყურადღებით შესწავლის ფუფუნებას.

ფინანსური უზრუნველყოფის შედეგად, მედია დივერსიფიცირებულია როგორც რეგიონალური, ასევე პროფილური თვალსაზრისით. შესაბამისად, მას უფრო პირდაპირი, ახლო კავშირი და ბმა გააჩნია საკუთარ აუდიტორიასთან. გარდა ამისა, ტრადიციული მედია ცდილობს არ ჩამორჩეს განვითარების თანამედროვე ტენდენციებს და კავშირი არ დაკარგოს აუდიტორიასთან. მაგალითად, 2014 წელს შვედეთში მოსახლეობის 47% ლეზულობდა ინფორმაციას ელექტრონული საშუალებებით, 2018 წელს კი ეს მაჩვენებელი 71%-მდე გაიზარდა (Colliver, Pomeran, Applebaum, & Birdwell, 2018, გვ. 11). ამიტომაც, ბეჭდური მედია საშუალების მხრიდან ადრეულ ეტაპზევე გაკეთდა აქცენტი ვებ-გვერდის მობილურ ვერსიაზე მორგებასა და სპეციალური სატელეფონო აპლიკაციის შექმნაზე, რისი საშუალებითაც მკითხველთა დიდ ნაწილს მობილური ტელეფონიდან გაუადვილდა ინფორმაციაზე წვდომა. ამან სასურველი შედეგი გამოიღო, ოთხი მთავარი მედია კომპანიის შეფასებით, ელექტრონულ ინფორმაციას ყოველდღიურ მკითხველთა 90% პირდაპირ ან სპეციალური აპლიკაციის საშუალებით ეცნობოდა და არა სოციალური ქსელების გავლით. შედეგად, კვლევებმა აჩვენა, რომ შვედეთი, სხვა ქვეყნებთან შედარებით, სოციალური მედიის საშუალებით დეზინფორმაციის გავრცელების დაბალი მაჩვენებლით გამოირჩეოდა (Southern, 2017).

მიუხედავად ზემოხსენებული ტენდენციისა, ტრადიციული მედია სოციალურ ქსელებს უყურადღებოდ არ ტოვებს და სულ უფრო დიდ დროს უთმობს, სოციალ-

ურ ქსელებში გავრცელებული ინფორმაციის კატეგორიზება მოხდეს მოსაზრების, ანალიზისა და ახალი ამბების მიხედვით. გარდა ამისა, მედიის მხრიდან სოციალური ქსელების მონიტორინგის შედეგად, დიდი რეზონანსის მქონე ყალბი ამბების შესახებ ხდება გამაბათილებელი მასალის მომზადება და მონყვლადი აუდიტორიისთვის მიწოდება. შვედი ჟურნალისტების შეფასებით, ეს არის დეზინფორმაციასთან ბრძოლის საკმაოდ ძვირიანი და შრომატევადი გზა, მაგრამ შვედურ მედიას გააჩნია პასუხისმგებლობა, დაიცვას საზოგადოება მცდარი ინფორმაციის მიღებისგან (Southern, 2017).

შიდა კონკურენციის მიუხედავად, მედია კომპანიები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან დეზინფორმაციის ტალღის შესაკავებლად. მაგალითად, არჩევნების წელს ოთხი ყველაზე დიდი მედია საშუალება გაერთიანდა ერთი პროექტის გარშემო, რომელიც მიზნად ისახავდა საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას წყაროების შემოწმებისა და ინფორმაციის შეფასების კუთხით (Sveriges Radio, 2018). მათ შექმნეს ვებ-გვერდი Faktiskt.se, რომლის საშუალებითაც ხდებოდა წინასაარჩევნოდ შვედეთის შესახებ ეროვნულ და საერთაშორისო მედიაში დაწერილი მასალის ავთენტურობის გადამოწმება. პროექტი სახელმწიფო კვლევისა და განვითარების გრანტით დაფინანსდა, მაგრამ პროექტის შინაარსობრივ მხარეზე ხელისუფლებას გავლენა არ გააჩნდა. იგი სრულად მოქმედებდა „ფაქტების გადამოწმების საერთაშორისო ქსელის“ (IFCN) წესების ფარგლებში.

### საზოგადოებრივი მიდგომა

ერთიანი საზოგადოებრივი მიდგომის ფარგლებში შვედეთის ხელისუფლების მხრიდან აქცენტი გაკეთდა არამარტო ინსტიტუციური შესაძლებლობების გაზრდაზე, არამედ - საზოგადოებრივი და ინდივიდუალური მზაობის ამაღლებაზეც (Pamment, Nothhaft, Agardh-Twetman, & Fjällhed, 2018, გვ. 91). საგანგებო მდგომარეობის სამოქალაქო სააგენტოს მიერ მომზადდა საინფორმაციო ოპერაციების შესახებ საინფორმაციო წიგნი, რომელშიც აღწერილი იყო საინფორმაციო ომის მეთოდები, გამოყენებული ტექნიკები, სამიზნე ჯგუფები და ა.შ. წიგნი დაურვიდა საარჩევნო კამპანიაში მონაწილე პარტიულ აქტივს (Cederberg, 2018, გვ. 19). გარდა ამისა, იმავე უწყების მიერ შემუშავებულ იქნა ბროშურა „სამოქალაქო თავდაცვის სახელმძღვანელო“, რომელიც ცივი ომის შემდეგ პირველად დაურვიდა შვედეთის 5 მილიონ მოქალაქეს. 20 გვერდიანი ინსტრუქციიდან ორი გვერდი ეძღვნება ინფორმაციულ ომს, ამ კუთხით არსებულ საფრთხეებს და მისგან თავდაცვის გზებს (Trevithick, 2018).

2018 წელს შვედეთის ხელისუფლებამ დემოკრატიის ხელშეწყობის, გაძლიერებისა და დაცვის მიზნით შეიმუშავა „სტრატეგია ძლიერი დემოკრატიისთვის“, რომელშიც სხვა გამონწვევებთან ერთად უმთავრეს საფრთხედ არის იდენტიფიცირებული არადემოკრატიული ძალების მხრიდან შვედურ დემოკრატიაზე

მიტანილი იერიში. დოკუმენტში განსაზღვრულია მთელი რიგი ღონისძიებები, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოების მხრიდან დემოკრატიის უკეთეს გაცნობიერებას, მეტ მონაწილეობას დემოკრატიულ პროცესებში და მეტ ჩართულობას მის დაცვაში (Swedish Government, 2018).

ხელისუფლების მხრიდან აქცენტი გაკეთდა საზოგადოების ორ მნიშვნელოვან ჯგუფზე. პირველ რიგში, მოხდა საზოგადოების იმ მოწვევადი ნაწილის იდენტიფიცირება, რომელიც რუსული საინფორმაციო ოპერაციების სამიზნეს წარმოადგენდა და სწორედ ამ ჯგუფებზე ფოკუსირებით დაიწყო შემაკავებელ ღონისძიებებზე მუშაობა. რაც შეეხება მეორე ჯგუფს - მოზარდებს, სახელმწიფო სააგენტოს „შვედეთის მედია საბჭოს“ კოორდინაციით განხორციელდა რამდენიმე საგანმანათლებლო პროგრამა. მათ შორის, ინფორმაციისა და წყაროების კრიტიკული ანალიზის შესახებ საგანი იქნა შეტანილი სასკოლო პროგრამაში; პოპულარული მულტფილმის გმირი “Bamse” ბავშვების გასაგებ ენაზე უხსნიდა დეზინფორმაციიდან მომდინარე საფრთხეს; ასევე, შეიქმნა საბავშვო სამაგიდო თამაში „სიმართლეზე ნადირობა“, რომელიც წყაროების შეფასების პრინციპებზე აგებული (Cederberg, 2018, გვ. 28-29).

### საფრთხის ხარისხი

რუსეთის მხრიდან საინფორმაციო თავდასხმა ფინეთს სხვა ნორდიკულ ქვეყნებზე ადრე, ყირიმის ანექსიამდე დაატყდა თავს. 2012 წელს დაწყებული მასშტაბური და კოორდინირებული დეზინფორმაციის კამპანიის მიხედვით, ფინეთის ხელისუფლების მხრიდან რუსული და შერეული, ფინურ-რუსული ოჯახებისთვის ბავშვთა მეურვეობის უფლების მასიურად ჩამორთმევა ხდებოდა. რუსული მედია საშუალებების ნაწილი უფრო შორსაც წავიდა და ფინეთი „საბავშვო საკონცენტრაციო ბანაკების“ შექმნაში დაადანაშაულა (EUvsDisinfo, 2018). რეალურად, ფინეთის ხელისუფლების მიერ მიღებული რეგულაცია, სოციალურ სამსახურებს მხოლოდ იმ შემთხვევაში აძლევდა ინტერვენციის საშუალებას, თუკი ბავშვი არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი იყო მშობლების მხრიდან, ან მის ჯანმრთელობას და განვითარებას საფრთხეს უქმნიდა ოჯახში არსებული პირობები. საკითხი რუსული საინფორმაციო საშუალებების მიერ ფინეთში მცხოვრები რუსული ეთნიკური უმცირესობის გასალიზიანებლად იქნა გამოყენებული. რამდენიმე თვის განმავლობაში ფინეთის ხელისუფლებასა და ფინურ მედიას დიდი ძალისხმევით გაღება მოუხდათ, რათა დეზინფორმაციის დამაჯერებელი არგუმენტებით გაქარწყლება მოეხდინათ (EUvsDisinfo, 2018).

ფინეთზე შემდეგი ძლიერი საინფორმაციო თავდასხმა 2015 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ განხორციელდა. წინასაარჩევნო პერიოდში მასიურად მოხდა სახელმწიფო უწყებების „Twitter“-ის ანგარიშების გაყალბება, მათი სახელით დიდი აუდიტორიის მოზიდვა და წინასაარჩევნოდ დეზინფორმაციის შემცველი მასალების გავრცელება (Committee on Foreign Relations, United States Senate, 2018, გვ. 110). ამას ემატებოდა, სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებების მხრიდან საარჩევნო სისტემის დისკრედიტაციისა და საზოგადოების დეზორგანიზების მძლავრი მცდელობა.

შვედეთისგან განსხვავებით, ფინურ საზოგადოებაში რუსული საინფორმაციო კამპანია ძლიერი პროპაგანდისტული ელემენტებითაც გამოირჩეოდა და მოსახლეობის კეთილგანწყობის მოპოვებასაც აქტიურად ცდილობდა. ამ მხრივ, რუსეთს წარმატების მიღწევის ილუზიას უქმნიდა ფინეთთან თანაცხოვრების ისტორიული გამოცდილება და ფინური საზოგადოების მხრიდან რუსეთის მიმართ ფრთხილი, ზომიერი დამოკიდებულება. ამიტომაც, რუსული მედია აქტიურად, თუმცა, შეცდომით ცდილობდა ფინელებში ცივი ომის პერიოდის ურთიერთობებისადმი ნოსტალგიური განწყობის შექმნას. ფინურ საზოგადოებაში რუსეთის

ეს სტრატეგია მკვეთრად უარყოფით განწყობას იწვევდა. ამიტომაც, მოგვიანებით რუსული საინფორმაციო საშუალებების გამოყენებით შეიქმნა ახალი ნარატივი, რომლის მიხედვითაც, ფინეთმა, შვედეთისა და ბალტიის ქვეყნების მხრიდან უარყოფით ზეგავლენის შედეგად, რუსეთთან ისტორიულად მეგობრულ ურთიერთობას რუსოფობიური ისტერია ამჯობინა (Schmidt Felzmann, 2017, გვ. 40).

ყირიმის ანექსიამ და აღმოსავლეთ უკრაინაში საბრძოლო მოქმედებებმა ფინურ აკადემიურ და ანალიტიკურ წრეებში ქვეყნის გეოპოლიტიკური პოზიციისა და თანმხლები საფრთხეების შესახებ დისკუსიები გამოიწვია. ამას ემატებოდა საზოგადოებრივი და სოციალურ ქსელებში მიმდინარე დებატები, თუ რა დამოკიდებულება უნდა ჰქონოდა ფინეთს უკრაინაში მიმდინარე პროცესების მიმართ და რა ტიპის ურთიერთობა უნდა გაეგრძელებინა რუსეთთან (Pynnöniemi & Rącz, 2016, გვ. 183). ეს საშუალებას აძლევდა რუსეთს, საინფორმაციო და გავლენის ოპერაციების გამოყენებით, დესტრუქციული ელემენტები შეეტანა საჯარო დისკუსიებში და მისთვის სასურველი საზოგადოებრივი განწყობების შექმნა ეცადა.

შვედეთის მსგავსად ფინეთშიც აქტუალურია იმიგრაციისა და ნატო-ში განევრიანების საკითხები, რომლებიც წინასაარჩევნოდ კიდევ უფრო აქტიურდება. ამიტომაც, გასაკვირი არ არის, რომ რუსული საინფორმაციო ოპერაციები, სწორედ, ამ თემებზე აკეთებდნენ აქცენტს. იმიგრაციის თემის დაკავშირება ხდებოდა ევროკავშირის „პასუხისმგებლობის გადანაწილების“ პოლიტიკასთან და ანტი-ევროპული განწყობების ზრდას ისახავდა მიზნად. ასევე, რუსული მედია ცდილობდა, წინასაარჩევნოდ სათავისოდ გამოეყენებინა ფინეთის უსაფრთხოების პოლიტიკისთვის დამახასიათებელი ერთი თავისებურება. კერძოდ, ფინურ პოლიტიკურ პარტიათაგან თითქმის ყველა ქვეყნის ნატო-ში განევრიანებას უჭერს მხარს, მაშინ როდესაც მოსახლეობის უმრავლესობა ამას არ ეთანხმება. რუსული საინფორმაციო ოპერაციების საშუალებით აქტიურად ხდებოდა ფინურ პოლიტიკურ ელიტასა და მოსახლეობას შორის არსებული აზრთა სხვაობის გაზვიადება და ხელისუფლების საზოგადოებრივი ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებაში დადანაშაულება.

გარდა ამისა, ფინელი ჟურნალისტები და მკვლევარები, რომლებიც სწავლობენ რუსული საინფორმაციო ომის ფენომენს და ცდილობენ მის მხილებას, საინფორმაციო სივრცეში ხდებიან აგრესიული, ხშირად, ცილისმწამებლური თავდასხმის მსხვერპლი. ამ მხრივ, საინტერესოა ჟურნალისტ ჯესიკა აროს შემთხვევა. მან ჟურნალისტური გამოძიების საშუალებით გამოააშკარავა ტროლების ჯგუფი, რომელიც დეზინფორმაციის გავრცელებით იყო დაკავებული. შედეგად, აროზე სხვადასხვა ძალების მხრიდან განხორციელდა საინფორმაციო და ფსიქოლოგიური თავდასხმა. თუმცა, ფინური სახელმწიფოს აქტიური ჩარევის შედეგად მოხდა

აროს დაცვა და ზენოლაში ბრალდებული პირის გასამართლება (BBC, 2018). ასევე, გამოიყენება „რუსოფობიაში“ დადანაშაულებისა და კვლევის მნიშვნელობის დაკნინების სტრატეგია, როგორც ეს საინფორმაციო ომის ფინელი მკვლევარის სარა იანტუნენის შემთხვევაში მოხდა, როდესაც მან რუსულ საინფორმაციო ომის თემაზე აკადემიური კვლევა ჩაატარა და ფინურ ენაზე გამოსცა წიგნი „Infosota“ (საინფორმაციო ომი). ხშირად, პრო-რუსული ძალების მხრიდან ერთდროულად ორივე მიდგომა გამოიყენება, რათა ფინურ საინფორმაციო სივრცეში რუსეთის მიმართ კრიტიკულად განწყობილი ხმების ჩახშობა მოხდეს (Jantunen, 2016).

### სოციეტალური უსაფრთხოების კონცეფცია

2012 წელს უკვე მიღებული მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, ყირიმის ანექსიის შემდეგ ევროპაში საგრძნობლად გახშირებულ რუსულ საინფორმაციო თავდასხმებს ფინური სახელმწიფო მომზადებული და თავდაჯერებული დახვდა. ფინეთის უმაღლესი გადაწყვეტილების მიმღები პირების შეფასებით, ძლიერი საგანმანათლებლო სისტემა, რუსეთის დაბალანსების ისტორიული გამოცდილება და ხელისუფლების გამართული სტრატეგია რუსული საინფორმაციო ომის საუკეთესო ანტიდოტს წარმოადგენდა (Standish, 2017).

ქვეყნის დაცვის მიზნით, ხელისუფლების მიერ აქცენტი გაკეთდა ერთიან საზოგადოებრივ მიდგომაზე. იგი ათწლეულების წინ შექმნილ სოციეტალური უსაფრთხოების დოქტრინას დაეფუძნა, რაც ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკაში საზოგადოების მაღალ სამოქალაქო ჩართულობას გულისხმობს. სტრატეგია აგებულია პრინციპზე, რომ მიუხედავად კრიზისის გამომწვევი მიზეზებისა, ხელისუფლებამ, სამოქალაქო საზოგადოებამ და კერძო სექტორმა უნდა გააგრძელონ მჭიდრო ურთიერთობა და საკუთარი ფუნქციებისა და მოვალეობების სათანადოდ შესრულება. თანამშრომლობა დაფუძნებულია პასუხისმგებლობის გააზრების პრინციპზე, რაც სახელმწიფოს მხრიდან ნაკლები მაიძულებელი კომპონენტის შემოტანას იწვევს სისტემაში. საზოგადოების ყველა ჯგუფი აცნობიერებს, რომ ნებისმიერი ტიპის გამომწვევა, იქნება ეს ეკონომიკური, პოლიტიკური თუ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული, დაძლეულ იქნება მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით. ქვეყანაში არსებობს კონსენსუსი, რომ შიდა ინსტიტუციური კონკურენცია და საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის წინააღმდეგობები უპირატესობას აძლევს მონინააღმდეგეს, იქნება ეს სახელმწიფო თუ არასახელმწიფო აქტორი (Salonius-Pasternak C. , 2017, გვ. 1). გარდა ამისა, სახელმწიფო უწყებებს, სამოქალაქო საზოგადოებასა და კერძო სექტორს შორის არსებობს ინფორმაციის გაცვლის სხვადასხვა ფორმატი, რაც ფინეთში ტრადიციულად მაღალ დონეზე გამართულ ადრეული შეტყობინების სისტემასთან ერთად, საფრთხის დროულად აღმოჩენის საშუალებას იძლევა.

საფრთხეზე სწრაფი რეაგირების მექანიზმის გაძლიერების გარდა, ხელი-

სუფლებამ ახალი ტიპის გამონვევისთვის საზოგადოების აქტიური მომზადება დაიწყო. ისტორიულად, ფინეთში მოქალაქეების მენტალური და მორალური მზადყოფნა მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენდა კონვენციური საფრთხის შეკავების კუთხით, მაგრამ 2012 წლის შემდეგ ნათელი გახდა, რომ ბრძოლის ველმა საინფორმაციო სივრცეში გადაინაცვლა და მნიშვნელოვანი იყო საზოგადოების ამ კუთხით ინფორმირება და მობილიზება (Salonius-Pasternak & Limnell, 2015).

ხელისუფლების მხრიდან საკუთარ მოქალაქეებთან სტრატეგიული კომუნიკაციის მთავარი გზავნილი იყო, რომ საინფორმაციო თავდასხმები პრობლემას წარმოადგენს არა მხოლოდ ხელისუფლებისთვის, არამედ საფრთხე ემუქრება ფინურ საზოგადოებას, ღირებულებებს და ცხოვრების წესს. შესაბამისად, თითოეული მოქალაქე ვალდებულია, დაიცვას ქვეყანა ბრძოლის ახალ, საინფორმაციო ფრონტზე. 2015 წელს, ფინეთის პრეზიდენტმა საული ნიინისტომ ხაზი გაუსვა ფინური მედიისა და საზოგადოების პასუხისმგებლობას საინფორმაციო სივრცეში გაზრდილ დეზინფორმაციასთან ბრძოლის კუთხით (Yle, 2015). ფინეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა აზრით, თანამედროვე უსაფრთხოების პროცესებში თითოეული მოქალაქის მონაწილეობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა, რადგანაც დღეს მას ჰიბრიდული გამონვევები უფრო ემუქრება, ვიდრე - ტრადიციული, კონვენციური საფრთხეები (Weinger, 2018).

### სახელმწიფო მიდგომა

განსხვავებით სხვა ნორდიკული ქვეყნებისგან, ფინეთს რუსეთთან ურთიერთობის ისტორიული გამოცდილებიდან და საერთო საზღვრიდან გამომდინარე, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც არ უთქვამს უარი ტოტალური თავდაცვის კონცეფციაზე. შესაბამისად, შენარჩუნებული და კიდევ უფრო გაძლიერებული იქნა ფსიქოლოგიური და გავლენის ოპერაციების შემაკავებელი როგორც სამხედრო, ასევე - სამოქალაქო თავდაცვის კომპონენტები. აქედან გამომდინარე, თუკი ევროპის სხვა ქვეყნებს 2014 წლის შემდეგ დიდწილად თავიდან მოუწიათ რუსული საინფორმაციო ომის შემაკავებელი მექანიზმების შემუშავება, ფინეთი ამ გამონვევას უმთავრესად მომზადებული დახვდა (Weinger, 2018). შესაბამისად, ფინეთის ხელისუფლებას განსაკუთრებული ინსტიტუციური და სტრატეგიული ცვლილებების განხორციელება არ მოუწია. ამიტომაც, აქცენტი პოზიტიური ეროვნული ნარატივის შექმნაზე, საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცებასა და ცნობიერების ამაღლებაზე გაკეთდა.

ფინეთის მთავრობამ რუსულ საინფორმაციო და გავლენის ოპერაციებისგან თავის დაცვის მიზნით, ყურადღება პოზიტიური ნარატივის შექმნაზე გაამახვილა, რომლის გარშემოც უნდა მომხდარიყო ფინური საზოგადოების კონსოლიდაცია (Standish, 2017). ამ ამოცანის განხორციელებას ხელი შეუწყო 2017 წელს ფინეთის დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილემ და ნარატივის აგება მოხდა თავისუფ-

ფლების საუკუნოვანი ისტორიის რთულ გზაზე ქვეყნის მიერ მიღწეულ წარმატებაზე, რის საფუძველზეც ფინეთი მსოფლიოში ერთ-ერთ სანიმუშო ქვეყნად იქცა დემოკრატიისა და სოციო-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით. დაბალი კორუფციის, გამჭვირვალების, მოსახლეობის ბედნიერების, სოციალური სამართლიანობის, მედიის თავისუფლების კუთხით ფინეთი ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა მსოფლიო მასშტაბით, რამაც ხელისუფლებას გაუმარტივა პოზიტიური ნარატივის შექმნის საქმე. მოწინააღმდეგისთვის კი უფრო რთული გახდა ფინურ საზოგადოებაში სისუსტეების პოვნა, რომლებზეც საკუთარ დესტრუქციულ ნარატივს ააგებს (Mackintosh, 2019).

პოზიტიური ნარატივის მიდგომა ხელისუფლებამ წინასაარჩევო პროცესებსაც მოარგო, როდესაც პრემიერ მინისტრის ოფისის, იუსტიციის სამინისტროსა და უსაფრთხოების კომიტეტის ერთობლივი ძალისხმევით შედეგად დაიწყო კამპანია სახელწოდებით - „ფინეთს გააჩნია მსოფლიოში საუკეთესო არჩევნები, იფიქრე რატომ“. ნარატივი აქცენტს აკეთებდა დემოკრატიული საარჩევნო სისტემის, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცესის, გამოხატვისა და სიტყვის თავისუფლების ღირებულებების უპირატესობის ხაზგასმაზე. კამპანიის მიმართ მოსახლეობის ინტერესის გაძლიერების მიზნით, მასში აქტიურად ჩაერთნენ საზოგადოების, კულტურისა და სპორტის გამოჩენილი მოღვაწეები. შედეგად, არჩევნების მიმართ ნდობა და მისი დაცვის სურვილი კიდევ უფრო გაიზარდა მოსახლეობაში. გარდა ამისა, კამპანიის ფარგლებში, იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობით, შესაბამისი უწყებების მხრიდან მოხდა შეცვლილი საინფორმაციო გარემოს შესწავლა და ანალიზი. მიღებული შედეგების საფუძველზე არჩევნებში მონაწილე საჯარო მოხელეებს, ისევე როგორც პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს ჩაუტარდათ სპეციალური მომზადება (Ministry of Justice of Finland, 2019).

ფინეთის ხელისუფლების მხრიდან, მის განკარგულებაში არსებული შეზღუდული ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე, აქცენტი გაკეთდა საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებასა და სხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარებაზე. ამ მიზნით, ფინეთის ხელისუფლების კომუნიკაციის სამსახურის მიერ მიწვეულ იქნენ საჯარო ინფორმაციის მართვის ექსპერტები ჰარვარდისა და მასაჩუსეტის უნივერსიტეტებიდან, რომლებმაც ფინელ სახელმწიფო მოხელეებს ჩაუტარეს ტრენინგები დეზინფორმაციასთან გამკლავების კუთხით (Yle, 2016). ასევე, ფინეთის ძალისხმევით 2017 წელს ჰელსინკიში ნატოსა და ევროკავშირის 12 წევრი ქვეყნის მიერ დაფუძნდა ერთობლივი „ჰიბრიდული საფრთხეების შეკავების ცენტრი“. ეს ორმაგად მნიშვნელოვანი მიღწევა იყო ფინეთისთვის. ერთის მხრივ, საერთაშორისო იმიჯის თვალსაზრისით, როგორც ქვეყნის მიერ განეული შრომისა და შემუშავებული მიდგომის დაფასების სიმბოლო, მაგრამ ამავედროულად, ის ფინეთის სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორის ხელში არის ძლიერი ინსტრუმენტი როგორც საკუთარი გამოცდილების



კომუნიკაციისთვის, ასევე მოკავშირე ქვეყნებიდან ცოდნისა და ინფორმაციის მიღებისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ ფინელები სხვა ქვეყნების გამოცდილებას აფასებენ და მისი გაზიარების მნიშვნელობას ხაზს უსვამენ, ამავდროულად, მიაჩნიათ, რომ რუსეთი თითოეულ ქვეყანასთან მიმართებაში მოქმედებს ინდივიდუალურად, ისტორიული, გეოგრაფიული და სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე. ამიტომაც, პარტნიორების ცოდნისა და გამოცდილების მიღება უნდა მოხდეს თითოეული ქვეყნის წინაშე არსებული საფრთხის ბუნებისა და ხარისხის ანალიზის, ასევე საკუთარი საჭიროებების გაცნობიერების საფუძველზე (Weinger, 2018).

ფინეთის ხელისუფლების მხრიდან ასევე ყურადღება გამახვილდა ინფორმაციული ომისთვის საჯარო მოხელეების მომზადებაზე. ამ მიზნით, სხვადასხვა უწყებებიდან შეირჩა დაახლოებით 30 საჯარო მოხელე, რომელთაც დაევალათ, არამარტო რუსული საინფორმაციო კამპანიის მეთოდებისა და ტექნიკის იდენტიფიცირება, არამედ სხვა საჯარო მოხელეების გადამზადება (Weinger, 2018). გარდა ამისა, 2016 წლის აპრილში ფინეთის ეროვნული თავდაცვის სასწავლო ასოციაციის (MPK) მიერ საჯარო მოხელეების, ანალიტიკოსებისა და ჟურნალისტებისთვის დაინყო სპეცილური კურსების ჩატარება დეზინფორმაციის აღმოჩენისა და კრიზისის დროს კომუნიკაციის პრინციპების შესახებ (Jantunen, 2016).

### მედია მიდგომა

რუსული საინფორმაციო ოპერაციების შეკავების პროცესში დიდი როლი იკისრა ფინურმა მედიამ. იგი გამოირჩევა ძლიერი საზოგადოებრივი მაუწყებლით, სტაბილური რეგიონალური მედია საშუალებებითა და ფინანსურად გამოუკიდებელი კერძო მედიით. პოლიტიკური პოლარიზაციის დაბალი დონის, ჟურნალისტების მაღალი პროფესიული სტანდარტისა და თვითრეგულირების ტრადიციის გამო ფინურ მედიას მოსახლეობის მხრიდან საკმაოდ დიდი ნდობა გააჩნია. 2016 წლის გამოკითხვით, ფინელთა 79% ენდობა ტრადიციულ მედიას. ამავდროულად, მოსახლეობის 50%-ზე მეტი პერიოდულად ეცნობა ალტერნატიულ მედიას, მაგრამ მხოლოდ 8% მიიჩნევს მას სანდოდ (Koponen, 2018). გარდა ამისა, ფინური საზოგადოება ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა მსოფლიოში ბეჭდური პრესის კითხვალობის კუთხით. მიუხედავად იმისა, რომ ფინურ მედიას, ქვეყნის მოსახლეობის მცირე რაოდენობიდან გამომდინარე, არ გააჩნია დიდი ბაზარი, მარკეტინგის თანამედროვე მეთოდების გამოყენების შედეგად, მისთვის ფუნქციონირება ფინანსურად მაინც მომგებიანია. ფინანსური სტაბილურობა კი პრესის გარკვეულ საშუალებებს შესაძლებლობას აძლევს, საკუთარ ონლაინ პლატფორმებზე წვდომა არ გახადონ ფასიანი და ამ გზით მკითხველთა დიდი რაოდენობა შეინარჩუნონ (Newman, Fletcher, Kalogeropoulos, Levy, & Nielsen, Digital News Report 2018, 2018, გვ. 76).

ფინელი ჟურნალისტებისა და მედია ექსპერტების შეფასებით, დეზინფორმაციის კამპანიამ მათთვის წარმოუდგენელი მასშტაბები შეიძინა ფინეთშიც, მაგრამ გლობალურ სურათთან შედარებით, ფინური მედია გამოწვევას უკეთ ართმევს თავს (Koponen, 2018). მედიის დაცვა სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილსაც წარმოადგენს. მაგალითად, ხელისუფლების მხრიდან, სტრატეგიული კომუნიკაციის ფარგლებში, აქტიურად ხდებოდა მოსახლეობისთვის იმ გზავნილის მიწოდება, რომ ფინეთის მთავრობის, პოლიტიკური სისტემისა და საზოგადოების ცხოვრების წესის დისკრედიტაციისკენ მიმართული დეზინფორმაციული მასალა წარმოადგენს, არა ცუდი ჟურნალიზმის შემთხვევებს, არამედ გარე ძალების მხრიდან კარგად კოორდინირებულ და მიზანმიმართულ კამპანიას (Rosendahl & Forsell, 2016). ასევე, ფინური საინფორმაციო სივრცისა და ფინელი ჟურნალისტების დასაცავად ქვეყნის მთავარი მედია საშუალებების 21 რედაქტორის მხრიდან გაკეთდა ერთობლივი განცხადება, რომელშიც ხაზგასმული იყო საფრთხის მნიშვნელობა და თავისუფალი, მიუკერძოებელი მედიის დაცვის აუცილებლობა. ეს ნაბიჯი ერთი საკითხის გარშემო მედიის გაერთიანების უპრეცედენტო შემთხვევა იყო ფინეთის ისტორიაში, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, მედიის მხრიდან საფრთხის რეალურად აღქმას (YLE, 2016).

ფინური მედია სხვადასხვა გზით ცდილობს, წინააღმდეგობა გაუწიოს საინფორმაციო სივრცეში გარე ძალების მხრიდან დეზინფორმაციის გავრცელებას. ამ მიზნით, ფინეთის საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ჯერ კიდევ 1990 წელს რუსულ ენაზე დაწყებული საინფორმაციო პროგრამა გააძლიერა და 2013 წლიდან ყველაზე მოწვევადი ჯგუფისთვის, ეთნიკური რუსი უმცირესობისთვის ოფიციალური, ავთენტური ინფორმაციის მიწოდების პლატფორმა „Novosti Yle“ შექმნა (YLE, 2013). მას 200 ათასიანი ყოველდღიური აუდიტორია გააჩნია, მაშინ როდესაც ფინეთში 75 ათასი ეთნიკური რუსი ცხოვრობს. შესაბამისად, საზოგადოებრივი მაუწყებლის ინიციატივის შედეგად, რუსულენოვანი მაყურებლის ინფორმირება ფინეთის გარეთაც ხდება, ძირითადად - ფინეთის მოსაზღვრე რუსეთის რეგიონებში (YLE, 2015).

2014 წლის შემდეგ შეიქმნა ფაქტების გადამოწმების (fact-check) სამი დიდი პლატფორმა, რომლებსაც მოქმედების პროფილები გადანაწილებული აქვთ დეზინფორმაციის, პოლიტიკოსთა მიერ გაკეთებული განცხადებებისა და იმიგრაციის თემასთან დაკავშირებული საკითხების კუთხით (Koponen, 2018). გარდა ამისა, ჟურნალისტებისა და უბრალო მოქალაქეების მიერ შექმნილია მოხალისეთა ჯგუფები, რომლებიც საკუთარ თავს „ელფებს“ უწოდებენ და ხშირად, მხოლოდ საკუთარი ქვეყნის დაცვის ენთუზიაზმით უპირისპირდებიან სოციალურ ქსელებში „ტროლების“ მიერ გავრცელებულ დეზინფორმაციას (Committee on Foreign Relations, United States Senate, 2018, გვ. 105).

## საზოგადოებრივი მიდგომა

რუსული საინფორმაციო კამპანიის შეკავების, ფინურ ერთიან საზოგადოებრივ მიდგომაში ძირითადი აქცენტი საგანმანათლებლო პროგრამებზე გაკეთდა. ფინეთის პრემიერ მინისტრის ოფისის კომუნიკაციების უფროსი სპეციალისტის იუსი ტოივანენის შეფასებით, რადგანაც მონინააღმდეგის მიზანია ფინური ღირებულებებისა და ცხოვრების წესის რღვევა, ინსტიტუტების მიმართ ნდობის შემცირება, სამიზნე ხდება თითოეული ფინეთის მოქალაქე, შესაბამისად, სახელმწიფოს ვალდებულებაა, თითოეული მოქალაქის სათანადოდ მომზადებით დაიცვას მთელი საზოგადოება (Henley, 2020). მისი აზრით, სწორედ ამიტომაც, საინფორმაციო ბრძოლის წინა ხაზზე საბავშვო ბაღისა და სკოლის მასწავლებლები დადგნენ (Mackintosh, 2019). საგანმანათლებლო პროგრამა 2014 წელს დეზინფორმაციასთან ბრძოლის სახელმწიფო ინიციატივის ფარგლებში ამოქმედდა და მიზნად ისახავს საინფორმაციო ომის შესახებ ფართო საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას და მისი შეკავების მიზნით, აუცილებელი უნარების გამომუშავებას (Mackintosh, 2019).

საგანმანათლებლო პროგრამის საშუალებით სახელმწიფო ცდილობს, პასუხისმგებლიანი მოქალაქისა და ამომრჩევლის აღზრდას, რომელსაც შეეძლება კრიტიკული აზროვნება, ფაქტებისა და წყაროების გადამოწმება, მიღებული ინფორმაციის შეფასება. ამ მიზნით, ყველა სასკოლო საგანში შეტანილი იქნა ზემოხსენებული უნარების განვითარების კომპონენტები: მათემატიკის პროგრამაში ყურადღება ეთმობა, თუ რამდენად იოლია სტატისტიკის საშუალებით ადამიანის შეცდომაში შეყვანა; ხელოვნების გაკვეთილზე ვიზუალური მასალით მანიპულაციაზე კეთდება აქცენტი; ისტორიის გაკვეთილზე პროპაგანდის განვითარებასა და მის მასშტაბურ კამპანიებს სწავლობენ, ხოლო ფინური ენის გაკვეთილზე აქცენტი კეთდება სიტყვების ძალაზე, შეცდომაში შეიყვანოს, დააბნოს ან მოატყუოს ადამიანი (Henley, 2020). უფრო სიღრმისეული პროგრამები ფაქტებისა და მოსაზრებების ერთმანეთისგან გარჩევას, წყაროების იდენტიფიცირებას, ნახევრად სიმართლისა და სოციალურ ქსელებში ყალბი ანგარიშების ამოცნობასაც კი ასწავლიან (Mackintosh, 2019).

მიდგომის მიხედვით, სკოლის მოსწავლესაც ისევე წარმატებით უნდა შეეძლოს დეზინფორმაციის აღმოჩენა, როგორც - ზრდასრულს. ამ კუთხით სკოლები აქტიურად თანამშრომლობენ ფინეთის ფაქტების გადამოწმების სააგენტო „Faktabaari“-სთან. შედეგად, ბავშვები სწავლობენ არამარტო სიმართლის სიცრუისგან გარჩევას, არამედ, სასწავლო პროგრამაში მონინააღმდეგის მიერ გამოყენებული ინფორმაცია კლასიფიცირებულია სამ კატეგორიად: **მისინფორმაცია**, რომელიც შეცდომის შემცველია, **დეზინფორმაცია**, რომელიც განზრახ გაყალბებული ინფორმაციაა, კონკრეტული მიზნების მისაღწევად და **მალინფორმაცია**, რომელიც შეიძლება სრული სიმართლე იყოს, მაგრამ მისი გავრცელება მიზნად ისახავს

ზიანის მოტანას. ამიტომაც მოსწავლეებს ზემოხსენებული კატეგორიების ერთ-მანეთისგან გარჩევა და სავარჯიშოდ, თითოეულ მათგანზე ნიმუშების შექმნაც კი ევალებათ (Henley, 2020).

რა თქმა უნდა, ერთიანი საზოგადოებრივი მიდგომის დამკვიდრებას ხელი შეუწყო მოსახლეობის მხრიდან სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ მაღალმა ნდობამ და მათი მხრიდან სამოქალაქო პროცესებში ჩართულობის ძლიერმა მოტივაციამ. დიდწილად, სწორედ, ზემოხსენებულმა ფაქტორებმა განაპირობა, რომ ფინეთი აღიარებულ იქნა ქვეყნად, რომელიც ყველაზე წარმატებით ახერხებს დეზინფორმაციასთან გამკლავებას (Henley, 2020). მართალია, ფინეთმა შეძლო რამდენიმე არჩევნების დაცვა რუსული საინფორმაციო თავდასხმისგან და ფინური გამოცდილების გაზიარებით სულ უფრო მეტი ქვეყანა ინტერესდება, მაგრამ თავად ფინეთში საკითხზე პასუხისმგებელ უწყებებში მიაჩნიათ, რომ წარმატებული გამოცდილების მიუხედავად, პროცესი მიმდინარეა და ამ მხრივ, მომავალში კიდევ ბევრი გამონვევა ელით (Mackintosh, 2019).

### საფრთხის გაცნობიერება

დანიაში რუსული დეზინფორმაციის კამპანია არ გამოირჩეოდა ისეთი მაღალი ინტენსივობით, როგორც შვედეთსა და ფინეთში. გარდა ამისა, დანიური უსაფრთხოების სამსახურების შეფასებით, რუსული საინფორმაციო ოპერაციების სთვის, დიდწილად, დამახასიათებელი იყო შენიღბული ფორმით მოქმედება. შესაბამისად, სხვა ქვეყნებთან შედარებით ის ნაკლებად შესამჩნევი იყო დანიაში (Kerrn-Jespersen, 2018). სწორედ ამიტომაც, დანიის ხელისუფლების მხრიდან ძირითადი რესურსები კიბერ უსაფრთხოების საკითხზე იყო მობილიზებული, რომელიც ქვეყნის თავდაცვის დისკურსში 2009 წლიდან აქტიურად ფიგურირებს და 2012 წელს კიბერ უსაფრთხოების ცენტრის შექმნითაც დასრულდა. ძირითადად, რუსული საინფორმაციო ოპერაციები კიბერ უსაფრთხოებასთან მჭიდრო კავშირში განიხილებოდა. ამის კარგი მაგალითია, თავდაცვის დაზვერვის სამსახურის (FE) დოკუმენტებში რუსეთის მიერ გამოყენებული „დაჰაკე და გაავრცელე“ (hack-and-leak) მიდგომიდან მომდინარე საფრთხეზე გამახვილებული ყურადღება (Baumann & Hansen, 2017).

2015 წლიდან ვითარება შეიცვალა და რუსული საინფორმაციო აქტივობები უფრო შესამჩნევი გახდა, რაც უკავშირდებოდა ყირიმის ანექსიისა და უკრაინის აღმოსავლეთ ნაწილში მიმდინარე მოვლენების მიმართ დანიის მწვავე რეაქციას. ამას მოჰყვა 2015 წელს დანიაში „Sputnik News“-ის დაფუძნებაც, რომელიც დანიურ ენაზე მაუწყებლობდა. დანიაში რუსული საინფორმაციო ოპერაციების გააქტიურების მიუხედავად, მათი ინტენსივობა და აგრესიული ხასიათი შვედეთსა და ფინეთში უფრო აშკარა იყო. დანიის საერთაშორისო საქმეთა ინსტიტუტის მკვლევარის, ფლემინგ ჰანსენის შეფასებით, მიუხედავად საფრთხის რეალური ხასიათისა, დანიას რუსულ საინფორმაციო ოპერაციებთან გამკლავებაში ხელს უწყობს რამდენიმე ფაქტორი. პირველ რიგში, რუსეთს დანიაში გააჩნია შეზღუდული რესურსები და გავლენის არხები. ასევე, დანია კრემლის დღის წესრიგში არ გამოირჩევა ისეთი მაღალი პრიორიტეტით, როგორც - შვედეთი და ფინეთი. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია დანიის მოსახლეობის განათლების მაღალი დონე (Bjørnager & Persson, 2018).

დანიაში საინფორმაციო ოპერაციებიდან მომდინარე საფრთხის მიმართ ყურადღების ზრდის მიუხედავად, გარკვეულწილად შენარჩუნდა მისი ბმა კიბერ უსაფრთხოების თემასთან. მაგალითად, 2017 წელს დანიის თავდაცვის მინისტრმა კლაუს ჰიორტ ფრედერიკსენმა ხაზი გაუსვა, რომ 2015-16 წლების განმავლობაში

თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებზე განხორციელდა არაერთი კიბერ-თავდასხმა, რომლის შედეგადაც მოპოვებული ინფორმაცია, ფალსიფიცირებული სახით, შესაძლოა, გამოყენებული ყოფილიყო წინასაარჩევნოდ, საზოგადოების განწყობებზე გავლენის მოხდენის მიზნით (Borre & Larsen, 2017). მან სახელმწიფოს მხრიდან საინფორმაციო და კიბერ საფრთხეების „ტოქსიკური კოქტილი“-სთვის მეტი ყურადღების მიქცევის აუცილებლობაზე გაამახვილა ყურადღება (Baumann & Hansen, 2017).

ამავდროულად, თავდაცვის დაზვერვის სამსახურის (FE) საფრთხეების შეფასების 2017 წლის ანგარიშში რუსეთის მხრიდან საარჩევნო პროცესებზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობას „მზარდი და რეალური საფრთხის“ კატეგორია მიენიჭა (Danish Defence Intelligence Service, 2017, გვ. 20). დანიაში აცნობიერებდნენ, რომ ბალტიის ზღვის უსაფრთხოებაში დანიის მზარდი როლის გამო, ასევე რუსეთის მხრიდან მომდინარე პირდაპირი სამხედრო საფრთხის სიმცირიდან გამომდინარე, კრემლი აქცენტს 2019 წლის საპარლამენტო არჩევნებზე საინფორმაციო გავლენის მოხდენაზე გააკეთებდა (Christensen M. ., 2018). გარდა ამისა, კოპენჰაგენში სხვა დასავლური ქვეყნების საარჩევნო პროცესებსაც ყურადღებით აკვირდებოდნენ, მაგრამ მეზობელ შვედეთში 2018 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ რუსეთის მხრიდან ჩარევისა და საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოხდენის მცდელობამ დანიაში საფრთხე ახალი სიმწვავეით დააყენა დღის წესრიგში.

იუსტიციის მინისტრის სორენ პაპე პოულსენის შეფასებით, ცივი ომის დასრულების შემდეგ დანიისა და ევროპისთვის მსგავსი ტიპის საფრთხეები არასდროს ყოფილა ისე მაღალი, როგორც - დღეს. უკიდურესად გაიზარდა საფრთხე გარე აქტორების მხრიდან დანიის ინტერესების სანინაალმდეგოდ მოქმედებისა და არჩევნების დემოკრატიულ პროცესებზე გავლენის მოხდენის კუთხით (Holst, 2018). ფოლკეტინგის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის, ნასერ ხადერის განცხადებით, გარკვეულ ქვეყნებს გაუჩნდათ ამბიციის, ძირი გამოუთხარონ დემოკრატია, შექმნან ქაოსი და უიმედობა. სამიზნეს წარმოადგენენ, სწორედ, ის ადამიანები, ანალიტიკური ცენტრები თუ ქვეყნები, რომლებიც რუსეთის პოლიტიკის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულებით გამოირჩევიან, რაც დანიის მხრიდან შესაბამისი ზომების მიღების აუცილებლობას ქმნის (DR, 2018).

დანიელთა შეფასებით, რუსულ საინფორმაციო ოპერაციებს წინასაარჩევნოდ უკიდურესად ნეგატიური დღის წესრიგი ექნებოდათ და დანიურ საზოგადოებაში უმწიფობის, გაურკვევლობისა და უნდობლობის დანერგვას ეცდებოდნენ (Christensen C. ., 2016). თავდაცვის დაზვერვის სამსახურის (FE) უფროსის ლარს ფინდსენის აზრით, დანიის მოსახლეობაზე გავლენის მოხდენის მიზნით, რუსეთს მედია საშუალებების გარდა სხვა ინსტრუმენტები და მეთოდებიც გააჩნია. კერძოდ, სოციალურ ქსელებში „ტროლები“-სა და „ბოტები“-ს არმია; საზოგადოებრივ

დებატებში მისთვის სასურველი თემების ხელოვნურად გააქტიურება სხვადასხვა არხების საშუალებით; სამთავრობო დოკუმენტების მოპოვება კიბერ თავდასხმის შედეგად, მათი ფალსიფიკაცია და სოციალურ ქსელებში გაჟონვა ზუსტად შერჩეულ დროს და ა.შ. (Holst, 2018).

ნარატივების თვალსაზრისით, დეზინფორმაციის კამპანია ძირითადად რამდენიმე სენსტიურ საკითხზე იყო ფოკუსირებული. პირველ რიგში, დანიურ საზოგადოებაში თემის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულების გამო, აქცენტი კეთდებოდა იმიგრაციისა და ინტეგრაციის პრობლემებზე. საკითხის დაკავშირება ხდებოდა ევროკავშირში არსებული იმიგრაციის კრიზისთან და მიზნად ისახავდა დანიაში ანტი-ევროპული განწყობების ზრდას. გარდა ამისა, რუსული საინფორმაციო ოპერაციების სამიზნეს წარმოადგენდა ის საკითხები, რომლებთან დაკავშირებითაც დანიასა და რუსეთს შორის უთანხმოება არსებობდა. კერძოდ, არქტიკაში მიმდინარე პროცესები, დანია-გრენლანდიის ურთიერთობები და რუსული ენერჯო პროექტი „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის მიმართ დანიის მკვეთრად უარყოფით დამოკიდებულება. თუმცა, უშუალოდ პოლიტიკურ და გეოპოლიტიკურ საკითხებზე ფოკუსირების გარდა, საზოგადოებრივი ცხოვრების წესის დისკრედიტაციასაც ჰქონდა ადგილი. ამის კარგი მაგალითია, რუსული მედია საშუალებების მიერ გავრცელებული დეზინფორმაცია, ხელისუფლების თანხმობით დანიაში „ცხოველთა ბორდელების“ არსებობის შესახებ (EUvsDisinfo, 2017).

### სახელმწიფო მიდგომა

დანიის ხელისუფლებამ საფრთხის განეიტრალების მიზნით მუშაობა რამდენიმე მიმართულებით დაიწყო. პირველ რიგში, მთავრობის საკოორდინაციო კომიტეტზე მიღებული გადაწყვეტილების შედეგად, შეიქმნა უწყებათშორისი სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შევიდნენ საგარეო საქმეთა, თავდაცვისა და იუსტიციის სამინისტროები, ასევე უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახური (PET) და თავდაცვის დაზვერვის სამსახური (FE). გარდა ამისა, საგარეო საქმეთა სამინისტროში შეიქმნა ახალი, კომუნიკაციის მრჩეველის პოზიცია, „სტრატეგიულ მისინფორმაციასა და ჰიბრიდულ საფრთხეებზე“ მუშაობის ფუნქციით. ასევე, საზღვარგარეთ დანიის საელჩოებს დაევალოთ ადგილობრივი მედიისა და სოციალური ქსელების გაძლიერებული მონიტორინგი და დანიის შესახებ დეზინფორმაციისა და მისინფორმაციის აღმოჩენის შემთხვევაში, მასზე სწრაფი რეაგირება. ამ მიზნით საელჩოებს მიეცათ სათანადო მოქმედებისთვის სრული თავისუფლება, რათა კოპენჰაგენთან საკითხის შეთანხმებისას დრო არ დაკარგულიყო (Baumann & Hansen, 2017).

ამას მოჰყვა სტრატეგიულ დოკუმენტებში საკითხის მიმართ სათანადო ყურადღების გამახვილება. კერძოდ, 2017-18 წლის დანიის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სტრატეგიაში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ გადაწყვეტილების

მიმღებ პირებსა და საზოგადოებაზე რუსეთის მტრული საინფორმაციო გავლენის მოხდენის მცდელობები მზარდ გამოწვევას წარმოადგენს, რადგანაც საფრთხეს უქმნის დემოკრატიულ ღირებულებებს და გათიშვით ემუქრება საერთაშორისო თანამშრომლობას. იმავე დოკუმენტში ხაზგასმულია მსგავსი საფრთხეებიდან ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის დაცვის მიზნით სხვადასხვა უწყებებს შორის თანამშრომლობის გაძლიერების აუცილებლობა (The Ministry of Foreign Affairs of Denmark, 2017, გვ. 15).

ყურადღება გამახვილდა საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებაზე, რადგანაც დანიაში კარგად აცნობიერებდნენ საინფორმაციო ომში საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებისა და ძალების გაერთიანების მნიშვნელობას. ამ მიზნით, 2017 წლის აგვისტოში, სტოკჰოლმში შეხვედრის დროს, დანიისა და შვედეთის თავდაცვის მინისტრებმა ერთობლივ განცხადებაში ხაზი გაუსვეს რუსული საინფორმაციო ოპერაციებიდან მომდინარე საფრთხეს და სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების აუცილებლობას (Chalfant, 2017). გარდა ნორდიკულ ქვეყნებთან თანამშრომლობისა, ევროკავშირის დონეზე დანია აქტიურად ლობირებდა ევროპის საგარეო მოქმედებათა სამსახურში (EEAS) სპეციალური ჯგუფის შექმნას, რომელიც რუსული დეზინფორმაციის თემაზე იმუშავებდა და საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელს ანგარიშებს მოუმზადებდა ამ საკითხთან დაკავშირებით. ინიციატივა წარმატებით განხორციელდა 2015 წელს „East StratCom Task Force“-ის შექმნის სახით და დანიამ ადამიანური და ფინანსური კონტრიბუცია შეიტანა მის შექმნაში (Schmidt Felzmann, 2017, გვ. 57).

მიუხედავად 2015-17 წლებში უკვე გადადგმული შემაკავებელი ნაბიჯებისა, საფრთხის გაზრდის პარალელურად, წინასაარჩევნოდ დანიის ხელისუფლებამ ახალი ძალით დაიწყო ქვეყნისა და საზოგადოების მედეგობის გაზრდაზე მუშაობა რუსული საინფორმაციო ოპერაციებისგან თავდაცვის მიზნით. პირველ რიგში, მოხდა იმის გააზრება, რომ საკითხზე მომუშავე უსაფრთხოების სამსახურებს ესაჭიროებოდათ დამატებითი ადამიანური და მატერიალური რესურსი. ამიტომაც, დანიის ხელისუფლების 2018 წლის გადაწყვეტილებით უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურს (PET) საინფორმაციო და გავლენის ოპერაციების შეკავების მიზნით, მომავალი ოთხი წლის განმავლობაში ყოველწლიურად დამატებით გამოეყოფა 5.7 მილიონი ევრო (Holst, 2018).

გარდა ამისა, დანიის საგარეო საქმეთა, თავდაცვისა და იუსტიციის სამინისტროების ძალისხმევით შემუშავდა 11 პუნქტიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც მიზნად ისახავდა საარჩევნო პროცესებში უცხო ქვეყნის ჩარევის აღკვეთის თვალსაზრისით სახელმწიფოსა და საზოგადოების მედეგობის გაზრდას. დანიის თავდაცვის მინისტრის, კლაუს ფრედერიკსენის განცხადებით, არჩევნებამდე ერთი წლით ადრე დანიის მხრიდან განსაკუთრებული ზომების მიღება განაპირო-



ბა, ერთი მხრივ, დანიის თავდაცვის დაზვერვის სამსახურის დასკვნამ საფრთხის რეალობასთან დაკავშირებით; მეორე მხრივ კი, დასავლეთის ქვეყნებში საარჩევნო პროცესების დროს გარე ძალების მხრიდან ჩარევის უკვე არსებულმა მწარე გამოცდილებამ. (Sommerand, 2018) ხელისუფლების მიერ შემუშავებულ 11 პუნქტიანი სამოქმედო გეგმა ერთიან საზოგადოებრივ მიდგომას ეფუძნება და მასში შემდეგ მიმართულებებზე მოხდა აქცენტის გაკეთება:

- » უწყებათშორისი სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც იმუშავებს სახელმწიფო უწყებებს შორის კოორდინაციის გაზრდაზე. ასევე, შეისწავლის უცხოური ქვეყნების გამოცდილებებს და დანიურ რეალობაზე მორგებით, კონკრეტული ნაბიჯების შესახებ რეკომენდაციებს მიანვდის შესაბამის უწყებებს;
- » საგარეო საქმეთა სამინისტროს მხრიდან მედიაში დეზინფორმაციის მონიტორინგის ფუნქციის გაძლიერება და სხვა ნორდიკული ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით, საჯარო მოხელეებისთვის საინფორმაციო და კიბერ თავდაცვის სპეციალური კურსების ორგანიზება;
- » დანიის უსაფრთხოების და დაზვერვის სამსახურისა (PET) და თავდაცვის დაზვერვის სამსახურის (FE) მხრიდან გარე ძალების მიერ მართული საინფორმაციო და გავლენის კამპანიის შეკავებაზე განსაკუთრებული აქცენტის გაკეთება;
- » შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, დანიის უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურთან (PET), თავდაცვის დაზვერვის სამსახურთან (FE) და კიბერ უსაფრთხოების ცენტრთან (CFCS) მჭიდრო თანამშრომლობით, საარჩევნო სისტემისა და პროცესების მონაცვლადი მხარეებისა და სისუსტეების შეფასება და საფრთხეების წინასწარ განსაზღვრა;
- » ეკონომიკისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების მხრიდან, დანიის უსაფრთხოების და დაზვერვის სამსახურთან (PET), თავდაცვის დაზვერვის სამსახურთან (FE) და კიბერ უსაფრთხოების ცენტრთან (CFCS) მჭიდრო თანამშრომლობით, საარჩევნო პროცესებზე გარე ძალების მხრიდან ფინანსური გავლენის მოხდენის მცდელობის აღკვეთა;
- » ხელისუფლების მხრიდან პოლიტიკურ პარტიებთან მჭიდრო თანამშრომლობა და საინფორმაციო თუ კიბერ საფრთხეების შესახებ მათი რეკომენდაციებით უზრუნველყოფა, რომელიც განხორციელდება უსაფრთხოების სამსახურების საშუალებით;
- » პოლიტიკური პარტიების ლიდერების ინფორმირება გარე ძალების მხრიდან მომდინარე საფრთხეების, გამოწვევებისა და რისკების შესახებ;
- » სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების პრინციპების სრული დაცვით, მედია საშუალებებთან თანამშრომლობის გაძლიერება;

- » სოციალური მედიის წარმომადგენლებთან მუდმივი დიალოგი და სიტყვისა თუ გამოხატვის თავისუფლების პრინციპების სრული დაცვით, გარე ძალების მხრიდან მომდინარე საფრთხეების, გამონვევებისა და რისკების შესახებ მათი ინფორმირება;
- » მედია საშუალებებისთვის საჯარო სივრცეზე მეტი წვდომის საშუალების მიცემა და მათი ჩართულობით პოლიტიკური და საჯარო პროცესების გამჭვირვალების გაზრდა;
- » საფრთხის ხარისხიდან გამომდინარე არსებული კანონმდებლობის გადახედვა და ქვეყნის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, საკანონმდებლო ბაზის მონესრიგება. (The Ministry of Foreign Affairs of Denmark, 2018)

### მედია და საზოგადოება

რუსული საინფორმაციო ოპერაციების გააქტიურება დანიაში მედიისთვის რთულ პერიოდს დაემთხვა. თანამედროვე ტექნოლოგიური განვითარებისა და გლობალიზაციის შედეგად გამონვეული ცვლილებები დანიური მედიის ფუნქციონირების, დაფინანსებისა და გავრცელების მეთოდებსაც შეეხო. შესაბამისად, მედია ახალ რეალობასთან ადაპტირების პროცესში გახლდათ, როდესაც რუსული დეზინფორმაციის ნაკადი მას თავს დაატყდა. მედია სივრცეში მიმდინარე ცვლილებების ფარგლებში, ხელისუფლების გადანვეტილებით, სახელმწიფო დაფინანსება 20%-ით შეუმცირდა და მისი მიღების წესი შეეცვალა საზოგადოებრივ მაუნყებელს (DR), თუმცა ფინანსური დანაკლისი, ძირითადად, გასართობ და სპორტულ პროგრამებს შეეხო, საინფორმაციო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულებები არ დაზარალებულა. ამავდროულად, დაფინანსება გაეზარდა ელექტრონულ და რეგიონალურ მედია საშუალებებს. დანიაში არსებობს მედიის სახელმწიფოს მხრიდან სუბსიდირების ძლიერი მექანიზმი, რომლის საშუალებითაც ფინანსურ დახმარებას იღებს არამარტო რეგიონალური მედია, არამედ - კომერციული მედია საშუალებები. მიღებული თანხა განისაზღვრება დასაქმებული ჟურნალისტების რაოდენობით, აუდიტორიის მოცულობითა და შინაარსობრივი მრავალფეროვნების მიხედვით (Newman, Fletcher, Kalogeropoulos, Levy, & Nielsen, Digital News Report 2018, 2018, გვ. 74).

დანიელი მედია ექვერტების შეფასებით, რუსულმა საინფორმაციო ოპერაციებმა პირდაპირი საფრთხე შეუქმნა დანიური მედიის დამაჯერებლობას, რომელიც მოსახლეობის მხრიდან მაღალი ნდობით სარგებლობს. კერძოდ, თანამედროვე ტენდენციებმა კიდევ უფრო დააჩქარა პროცესები მედია სფეროში, რაც დამატებითი წნეხის ქვეშ აქცევს ჟურნალისტებს და აიძულებს მათ, ხშირად ძალიან მოკლე ვადაში, ინფორმაციის სრულყოფილი გადამონმების გარეშე იმოქმედონ. ეს ზრდის დეზინფორმაციის კამპანიის მახეში ჟურნალისტების მოქცევის შესაძლებლობას. შედეგად, დანიელი ჟურნალისტები გარკვეულ შემთხ-

ვევებში, უნებლიედ თავად ხდებიან მანიპულაციის მსხვერპლი (Kerrn-Jespersen, 2018). არსებულ ტენდენციას სათავისოდ იყენებენ რუსული და პრო-რუსული მედია საშუალებები, რომლებიც მეტი დამაჯერებლობის მქონე მისინფორმაციის გავრცელებით ცდილობდნენ დანიელი ჟურნალისტების შეცდომაში შეყვანას.

აქედან გამომდინარე, წინასაარჩევნოდ განსაკუთრებული სიფხიზლის და მობილიზაციის რეჟიმში გადავიდა დანიური მედიაც. ჟურნალისტები დიდ ყურადღებას იჩენენ რუსული საინფორმაციო წყაროების მიერ გავრცელებული ინფორმაციის მიმართ. დანიური სახელმწიფო, თუ კერძო მედია საშუალებები ჟურნალისტური გამოძიებებისა და დეზინფორმაციასთან ბრძოლის სხვა მექანიზმების გამოყენებით ცდილობდნენ რუსეთის მიერ გავრცელებული სიცრუის მხილვას. ამ მიზნით შეიქმნა ფაქტების გადამოწმების პლატფორმა „TjekDet“. ასევე, გამოცემა „Mandag Morgen“-მა არჩევნებთან დაკავშირებით ფაქტების გადამოწმების სპეციალური ჯგუფი შექმნა. მათ შეთანხმებას მიაღწიეს „აცებოოკ“-თან დეზინფორმაციის მონიტორინგის კუთხით (Newman, Fletcher, Kalogeropoulos, & Nielsen, Reuters Institute Digital News Report 2019, 2019, გვ. 80). თუმცა, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ რამდენადაც დანიურ მედიას ძალიან კარგად გამოსდის დანიასთან მიმართებაში გავრცელებული დეზინფორმაციის მხილვა, იმდენად მათი პროდუქტიულობა იკლებს ახლო აღმოსავლეთსა და პოსტ-საბჭოთა სივრცეში მიმდინარე მოვლენების შესახებ რუსული წყაროების მიერ გავრცელებული ინფორმაციის გადამოწმებასთან მიმართებაში.

მედიასთან ერთად პროცესებში აქტიურად ჩაერთნენ დანიური ანალიტიკური ცენტრები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. საზოგადოებრივ დონეზე მოხდა საფრთხის კომპლექსურობის გააზრება, რასაც ხელისუფლების მხრიდან ერთიანი საზოგადოებრივი მიდგომის შემუშავებაც უწყობდა ხელს. სტრატეგიული კომუნიკაციების საშუალებით ხელისუფლების მხრიდან ხდებოდა იმის ხაზგასმა, რომ ქვეყნის საინფორმაციო და კოგნიტური სივრცის დაცვაში ჩართული უნდა ყოფილიყვნენ არამარტო სახელმწიფო უწყებები, არამედ - მედია საშუალებები, ანალიტიკური ცენტრები, საგანმანათლებლო ინსტიტუტები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სამოქალაქო საზოგადოება. შედეგად, რუსული საინფორმაციო ომის შეკავების პროცესში აქტიურად მონაწილეობენ აკადემიური და ანალიტიკური წრეებიც. დანიის საერთაშორისო სწავლებების ინსტიტუტისა (DIIS) და კოპენჰაგენის უნივერსიტეტის მკვლევარები სახელმწიფო უწყებებთან მჭიდრო თანამშრომლობით იკვლევენ რუსული საინფორმაციო ომის ტექნოლოგიებს და ხელისუფლებას კომპეტენტურ რეკომენდაციებსაც სთავაზობენ (Kremlin Watch, 2020).

სახელმწიფოს მხრიდან სათანადო ნაბიჯებისა და მედიისა და ანალიტიკური ცენტრების აქტიური ჩართულობით, დანიურ საზოგადოებაში გაიზარდა საინ-

ფორმაციო ოპერაციების მიზნებისა და გამოყენებული მეთოდების შესახებ ცოდნა. 2018 წელს ევროკომისიის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, 87%-იანი მაჩვენებლით, ევროკავშირის მასშტაბით დანიელები ლიდერობენ თავდაჯერებულობის კომპონენტში, აღმოაჩინონ და გაუმკლავდნენ დეზინფორმაციას. ასევე, საკმაოდ რეალურად ხდება საფრთხის გააზრებაც, მოსახლეობის 75% მიიჩნევს, რომ დეზინფორმაცია საფრთხეს უქმნის დემოკრაციას, ხოლო 73%-ის აზრით, იგი პრობლემას წარმოადგენს დანიისთვის (Skoffer, 2018).

ყირიმის ანექსიის შემდეგ ნორდიკული ქვეყნები, რუსეთის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულების გამო, რუსული საინფორმაციო თავდასხმების სამიზნე გახდნენ. თითოეულ ქვეყანასთან მიმართებაში კრემლის განსხვავებული ინტერესების მიუხედავად, რუსული საინფორმაციო ოპერაციები მოქმედების ერთიან მატრიცაში ჯდება. კერძოდ, ადგილობრივ პოლიტიკურ ელიტებსა და საზოგადოებებში რუსეთის ქმედებებისადმი მკვეთრად ნეგატიური განწყობის გამო, საინფორმაციო კამპანიის მიზანს წარმოადგენდა არა იმდენად რუსეთის მიმართ კეთილგანწყობის მოპოვება, რამდენადაც სამივე ქვეყანაში დესტრუქციული მუხტის შეტანა. აქცენტი კეთდებოდა საზოგადოების დეზორგანიზებაზე, ინსტიტუტების დისკრედიტირებასა და საერთაშორისო თანამშრომლობის მიმართ უნდობლობის გაღვივებაზე. ამ მხრივ კი რუსეთისთვის საუკეთესო სამიზნეს დემოკრატიული საარჩევნო სისტემა წარმოადგენდა. შესაბამისად, ნორდიკული ქვეყნების მხრიდანაც განსაკუთრებული აქცენტი, სწორედ, არჩევნების დაცვაზე გაკეთდა. თუმცა, მათ მიერ არჩეული სოციეტალური უსაფრთხოების კონცეფცია არამარტო არჩევნების დაცვის ერთჯერად ზომებს, არამედ საზოგადოებრივი მედეგობის გაზრდის გრძელვადიან პროგრამას ითვალისწინებს.

კვლევაში განხილული ნორდიკული ქვეყნები განსხვავებულად მომზადებული შეხვდნენ რეგიონში რუსული საინფორმაციო ოპერაციების გააქტიურებას და განსხვავდებოდა მათი რუსეთთან ურთიერთობის ისტორიული გამოცდილებაც. მიუხედავად ამისა, სამივე ქვეყნის მიერ რუსული საინფორმაციო ოპერაციებისგან არჩევნების დაცვის მიდგომები ძალიან გავდა ერთმანეთს. ღირებულებითი თვალსაზრისით, ნორდიკული ქვეყნების ხელისუფლებების მხრიდან აქცენტი გაკეთდა დემოკრატიული შეკავების კონცეფციაზე, რათა რუსეთისგან თავდაცვის პროცესში არ მომხდარიყო, სწორედ, იმ დემოკრატიული და ლიბერალური ღირებულებებიდან გადახვევა, რომელთაც რუსეთი ესხმოდა თავს. გარდა ამისა, როგორც უკვე აღინიშნა, თავდაცვის სტრატეგია დაეფუძნა სოციეტალური უსაფრთხოების კონცეფციას, რომელიც ერთიან საზოგადოებრივ მიდგომას ითვალისწინებს. შესაბამისად, სამივე ქვეყნის მიერ გატარებულ ღონისძიებებს შინაარსობრივი თვალსაზრისით ბევრი მსგავსება გააჩნია.

ღირებულებების შენარჩუნებისა და გამოყენებული მეთოდების ეფექტურობიდან გამომდინარე, რუსული საინფორმაციო ოპერაციებისგან საარჩევნო პროცესების დაცვის ნორდიკული ქვეყნების გამოცდილება დიდი ინტერესის ობიექტი გახდა. თავად ზემოხსენებულ ქვეყნებსაც კარგად აქვთ გაცნობიერებული, რომ რუსული საინფორმაციო ომის გლობალური და კომპლექსური ხასიათიდან

გამომდინარე, ერთი რეგიონალური გამარჯვება საკმარისი არ არის. ამიტომაც, დიდ ყურადღებას უთმობენ საერთაშორისო თანამშრომლობას, როგორც გამოცდილების მიღების, ასევე გაცემის კუთხით. აქედან გამომდინარე, საქართველოსთვის ღირებულებების დაცვისა და ქმედითი თავდაცვის მექანიზმის შემუშავების კუთხით ნორდიკული ქვეყნების გამოცდილება განსაკუთრებით საინტერესო უნდა იყოს, ქვეყნის ზომიდან, ევრო-ატლანტიკური მისწრაფებებიდან და ღირებულებითი თავსებადობიდან გამომდინარე.

- Aftenposten. (2015, April 10). Fem nordiske ministre i felles kronikk: Russisk propaganda bidrar til å så splid. From *aftenposten.no*: <https://www.aftenposten.no/meninger/kronikk/i/wnao/fem-nordiske-ministre-i-felles-kronikk-russisk-propaganda-bidrar-til-aa-saa-splid>
- Baumann, A., & Hansen, A. R. (2017, September 10). Danmark får ny kommandocentral mod misinformation. From *Mandag Morgen*: <https://www.mm.dk/artikel/danmark-faar-ny-kommandocentral-mod-misinformation>
- BBC. (2018, October 18). Jessikka Aro: Finn jailed over pro-Russia hate campaign against journalist. From BBC: <https://www.bbc.com/news/world-europe-45902496>
- Berlingske. (2014, March 05). Lidegaard: Bevægende at være på Maidan i Kiev. From *Berlingske.dk*: <https://www.berlingske.dk/internationalt/lidegaard-bevaegende-at-vaere-paa-maidan-i-kiev>
- Berzina, K. (2018, September 07). Sweden — Preparing for the Wolf, not Crying Wolf: Anticipating and Tracking Influence Operations in Advance of Sweden’s 2018 General Elections. From *The German Marshall Fund* : <https://www.gmfus.org/blog/2018/09/07/sweden-preparing-wolf-not-crying-wolf-anticipating-and-tracking-influence>
- Bjørnager, J. A., & Persson, S. (2018, June 10). Sverige, Frankrig og USA har været ramt: Danmark rustet sig mod misinformation og falske nyheder. From *Berlingske*: <https://www.berlingske.dk/samfund/sverige-frankrig-og-usa-har-vaeret-ramt-danmark-ruster-sig-mod-misinformation-og>
- Borre, M., & Larsen, T. (2017, April 23). Rystet Claus Hjort afslører: Rusland har hacket det danske forsvar over to år. From *Berlingske*: <https://www.berlingske.dk/politik/rystet-claus-hjort-afslorer-rusland-har-hacket-det-danske-forsvar-over-to-aar>
- Boulègue, M., Lutsevych, O., & Marin, A. (2018). *Civil Society Under Russia’s Threat: Building Resilience in Ukraine, Belarus and Moldova*. London: Chatham House.
- Brattberg, E., & Maurer, T. (2018, May 31). How Sweden is preparing for Russia to hack its election. From *Carnegie Endowment for International Peace*: <https://carnegieendowment.org/2018/05/31/how-sweden-is-preparing-for-russia-to-hack-its-election-pub-76484>
- Braw, E. (2018, April 3). How to Deal With Russian Information Warfare? Ask Sweden’s Subhunters. From *Defense One* : <https://www.defenseone.com/ideas/2018/04/how-deal-russian-information-warfare-ask-sweden/147154/>
- Cederberg, G. (2018). *Catching Swedish Phish: How Sweden is Protecting its 2018 Elections*. Cambridge: Harvard Kennedy School.
- Chalfant, M. (2017, August 31). Denmark, Sweden team up to counter Russian ‘fake news’. From *The Hill*: <https://thehill.com/policy/cybersecurity/348693-denmark-sweden-team-up-to-counter-russian-fake-news>
- Christensen, C. D. (2016, October 02). Er det sådan her prorussisk misinformation fungerer? From *Mandag Morgen*: <https://www.mm.dk/artikel/er-det-saadan-her-prorussisk-misinformation-fungerer>
- Christensen, M. F. (2018, July 23). “Welcome back to the Cold War”. From *Berlingske*: <https://www.berlingske.dk/samfund/velkommen-tilbage-til-den-kolde-krig>
- Closson, S. (2019). *Russia’s Recent Arctic Activities: Military Threat or Development Strategy?* *Russian Analytical Digest*, 9-13.

- Colliver, C., Pomeran, P., Applebaum, A., & Birdwell, J. (2018). Smearing Sweden: International Influence Campaigns in the 2018 Swedish Election. London : London School of.
- Committee on Foreign Relations, United States Senate. (2018). Putin's Asymmetric Assault on Democracy In Russia and Europe: Implications for U.S. National Security. Washington: Committee on Foreign Relations, United States Senate.
- Dahl, A.-S. (2018). Sweden and Finland: Partnership in Lieu of NATO Membership. In A.-S. Dahl, Strategic Challenges in the Baltic Sea Region: Russia, Deterrence, and Reassurance (pp. 129-141). Washington: Georgetown University Press.
- Danish Defence Intelligence Service. (2017). Risk Assessment 2017. Copenhagen: Danish Defence Intelligence Service.
- Danish Defence Intelligence Service. (2019). Risk Assessment 2019. Copenhagen: Danish Defence Intelligence Service.
- Darczewska, J. (2014). The Anatomy of Russian Information Warfare. Warsaw: Centre for Eastern Studies.
- DR. (2018, September 04). Millioner på vej til PET: Skal bekæmpe 'fake news' i Danmark. From DR: <https://www.dr.dk/nyheder/indland/millioner-paa-vej-til-pet-skal-bekaempe-fake-news-i-danmark>
- EUvsDisinfo. (2017, September 09). NO, DENMARK IS NOT LEGALISING SEXUAL ABUSE OF ANIMALS. From EUvsDisinfo: <https://euvsdisinfo.eu/no-denmark-is-not-legalising-sexual-abuse-of-animals/>
- EUvsDisinfo. (2018, August 06). "Finland puts Russian kids in prison" – Disinformation that Shaped the Minds of Millions. From EUvsDisinfo: <https://euvsdisinfo.eu/finland-puts-russian-kids-in-prison-disinformation-that-shaped-the-minds-of-millions/>
- FOI. (2018). Botar och det svenska valet: Automatiserade konton, deras budskap och omfattning . Stockholm: Swedish Defence Research Agency (FOI).
- Franke, U. (2015). War by non-military means: Understanding Russian information warfare. Stockholm: FOI .
- Giles, K. (2016). Handbook of Russian Information Warfare. Rome: The NATO Defense College.
- Giles, K. (2016). The Next Phase of Russian Information Warfare. Riga: The NATO Strategic Communications Centre of Excellence.
- Heikero, R. (2010). Emerging Cyber Threats and Russian View on Information Warfare and Information Operations. Stockholm: Swedish Defence Research Agency.
- Henley, J. (2020, January 29). How Finland starts its fight against fake news in primary schools. From The Guardian : <https://www.theguardian.com/world/2020/jan/28/fact-from-fiction-finlands-new-lessons-in-combating-fake-news>
- Holst, H. K. (2018, September 03). Regeringen frygter »alvorlig« trussel mod næste valg: Afsætter millioner til PET. From Berlingske: <https://www.berlingske.dk/politik/regeringen-frygter-alvorlig-trussel-mod-naeste-valg-afsætter-millioner-til-pet>
- Jantunen, S. (2016, July 29). The Problem With Finland. From Upnorth.eu: <https://upnorth.eu/the-problem-with-finland/>
- Karlsbakk, J. (2015, June 08). Joining efforts for search and rescue. From The Barents Observer: <https://barentsobserver.com/en/borders/2015/06/joining-efforts-search-and-rescue-08-06>
- Kern-Jespersen, R. (2018, January 02). Fake news er ikke problem i Danmark – men misinformation er. From Mandag Morgen: <https://www.mm.dk/tjekdet/artikel/13037-fake-news-er-ikke-problem-danmark-men-misinformation-er>



- Koponen, H. M. (2018, January 24). Finland remains resistant to 'fake news', disinformation. From The International Press Institute (IPI): <https://ipi.media/finland-remains-resistant-to-fake-news-disinformation/>
- Kremlin Watch. (2020). Denmark. Prague: Kremlin Watch.
- Kristensen, K. S., & Sakstrup, C. (2016). Russian Policy in the Arctic after the Ukraine Crisis. Copenhagen: Center for Militære Studier.
- Kunz, B. (2018, October 29). Northern Europe's Strategic Challenge from Russia: What Political and Military Responses? . From French Institute of International Relations: <https://www.ifri.org/en/publications/notes-de-lifri/russieneivisions/northern-europes-strategic-challenge-russia-what>
- Laruelle, M. (2020). Russia's Arctic Policy: A Power Strategy and Its Limits . Paris: French Institute of International Relations.
- Löfgren, E. (2018, March 06). How Sweden's getting ready for the election-year information war. From The Local, Sweden: <https://www.thelocal.se/20171107/how-swedens-getting-ready-for-the-election-year-information-war>
- Mackintosh, E. (2019, May). Finland is winning the war on fake news. What it's learned may be crucial to Western democracy. From CNN: <https://edition.cnn.com/interactive/2019/05/europe/finland-fake-news-intl/>
- Michta, A. A. (2014, November 17). Putin Targets the Scandinavians . From The American Interest: <https://www.the-american-interest.com/2014/11/17/putin-targets-the-scandinavians/>
- Mikkola, H. (2019). The Geostrategic Arctic: Hard Security in the High North. Helsinki: The Finnish Institute of International Affairs.
- Ministry of Justice of Finland. (2019, March 25). Finland has the best elections in the world. And why is that. From Ministry of Justice of Finland: [https://vnk.fi/en/article/-/asset\\_publisher/suomessa-on-maailman-parhaat-vaalit-mieti-miksi-](https://vnk.fi/en/article/-/asset_publisher/suomessa-on-maailman-parhaat-vaalit-mieti-miksi-)
- Mouritzen, H. (2019). The Nordic Region: Can Russia 'Divide and Rule'? Four Russo-Nordic Relations After Crimea and Trump. *Journal of Regional Security*, 101-128.
- NATO StratCom COE. (2017, January 10). Sweden and NATO StratCom COE sign cooperation agreement. From The NATO Strategic Communications Centre of Excellence: <https://www.stratcomcoe.org/sweden-and-nato-stratcom-coe-sign-cooperation-agreement>
- Newman, N., Fletcher, R., Kalogeropoulos, A., & Nielsen, R. K. (2019). Reuters Institute Digital News Report 2019. Oxford: Reuters Institute for the Study of Journalism.
- Newman, N., Fletcher, R., Kalogeropoulos, A., Levy, D. A., & Nielsen, R. K. (2018). Digital News Report 2018. Oxford: Reuters Institute for the Study of Journalism.
- Pamment, J., Nothhaft, H., Agardh-Twetman, H., & Fjällhed, A. (2018). Countering Information Influence Activities: The State of the Art. Lund : Lund University.
- Pew Research Center . (2017, August 16). Publics Worldwide Unfavorable Toward Putin, Russia. From Pew Research Center : <https://www.pewresearch.org/global/2017/08/16/publics-worldwide-unfavorable-toward-putin-russia/>
- Pynnöniemi, K., & Rácz, A. (2016 ). The Soviet Roots of Russian Influence Operations. In K. P. Rácz, *Fog of Falsehood: Russian Strategy of Deception and the Conflict in Ukraine* (pp. 33-42). Helsinki: The Finnish Institute of International Affairs.
- Radio Sweden. (2017, March 20). Swedish PM warns of foreign influence ahead of 2018 poll. From Sveriges Radio: <https://sverigesradio.se/sida/artikel.aspx?programid=2054&artikel=6655535>
- Ritzau. (2018, March 06). Claus Hjort slår alarm over falske nyheder fra Rusland. From

Avisen: [https://www.avisen.dk/clus-hjort-slaar-alarm-over-falske-nyheder-fra-rusl\\_488559.aspx](https://www.avisen.dk/clus-hjort-slaar-alarm-over-falske-nyheder-fra-rusl_488559.aspx)

Rosendahl, J., & Forsell, T. (2016, October 19). Finland sees propaganda attack from former master Russia. From Reuters: <https://www.reuters.com/article/us-finland-russia-information-attacks-idUSKCN12J197?feedType=RSS&feedName=topNews>

Rossbach, N. H. (2017). Psychological Defence: Vital for Sweden's Defence Capability. Stockholm: Swedish Defence Research Agency.

Salonius-Pasternak, C. (2017). An effective antidote: The four components that make Finland more resilient to hybrid campaigns. Helsinki: The Finnish Institute of International Affairs.

Salonius-Pasternak, C., & Limnell, J. (2015). Preparing Finland for hybrid warfare: Social vulnerabilities and the threat of military force. Helsinki: The Finnish Institute of International Affairs.

Santalo, J. (2018, January 2). Sweden prepares for fake news ahead of election. From Mundus International : <https://mundus-international.com/sweden-prepares-for-fake-news-ahead-election/>

Schmidt Felzmann, A. (2017). More Than 'Just' Disinformation: Russia's Information Operations In The Nordic Region. In T. Čížik, Information Warfare – New Security Challenge for Europe (pp. 32-68). Bratislava: Centre for European and North Atlantic Affairs (CENAA).

Skoffer, J. K. (2018, March 26). Tre ud af fire danskere oplever falske nyheder som et problem i Danmark. From Mandag Morgen: <https://www.mm.dk/tjekdet/artikel/tre-ud-af-fire-danskere-oplever-falske-nyheder-som-et-problem-i-danmark>

Sommerand, M. (2018, September 07). Regeringen: Truslen fra Rusland skal tages alvorligt ved et dansk valg. From DR: <https://www.dr.dk/nyheder/politik/regeringen-truslen-fra-rusland-skal-tages-alvorligt-ved-et-dansk-valg>

Southern, L. (2017, January 27). How Sweden is fighting fake news. From Digiday: <https://digiday.com/uk/fake-news-in-sweden/>

Standish, R. (2017, March 01). Why Is Finland Able to Fend Off Putin's Information War? From Foreign Policy: <https://foreignpolicy.com/2017/03/01/why-is-finland-able-to-fend-off-putins-information-war/>

Statistics Finland. (2020, March 20). Trade. From Statistics Finland: [http://www.stat.fi/tup/suoluk/suoluk\\_kotimaankauppa\\_en.html#Biggest import and export countries](http://www.stat.fi/tup/suoluk/suoluk_kotimaankauppa_en.html#Biggest import and export countries)

Stormark, K. (2017, October 18). Russian forces exercised attack on Svalbard. From Aldrimer. no: <https://www.aldrimer.no/russian-forces-exercised-attack-on-svalbard/>

Sveriges Radio. (2018, January 29). Media outlets to join forces to combat disinformation and fake news. From Sveriges Radio: <https://sverigesradio.se/sida/artikel.aspx?programid=2054&artikel=6870996>

Swedish Government. (2018). Strategy for a strong democracy. Stockholm: Swedish Government.

Swedish Security Service. (2018, August 31). Attempts to influence confidence in the election process. From Swedish Security Service: <https://www.sakerhetspolisen.se/en/swedish-security-service/about-us/press-room/current-events/news/2018-08-31-attempts-to-influence-confidence-in-the-election-process.html>

The Atlantic Council. (2018, October 25). Trident juncture: NATO's crisis response put to the test. From The Atlantic Council: <https://www.atlanticcouncil.org/blogs/new-atlanticist/trident-juncture-nato-s-crisis-response-put-to-the-test/>

The Government of Sweden. (2018, March 13). The new media support scheme . From The

Government of Sweden: <https://www.government.se/articles/2018/03/the-new-media-support-scheme/>

The Ministry of Foreign Affairs of Denmark. (2017). Foreign and Security Policy Strategy 2017-18. Copenhagen: The Ministry of Foreign Affairs of Denmark . From The Ministry of Foreign Affairs of Denmark .

The Ministry of Foreign Affairs of Denmark. (2018). Strengthened safeguards against foreign influence on Danish elections and democracy. Copenhagen: The Ministry of Foreign Affairs of Denmark.

Thomas, T. L. (1998). Dialectical versus Empirical Thinking: Ten Key Elements of the Russian Understanding of Information Operations. *Journal of Slavic Military Studies*, 40-62.

Trevithick, J. (2018, June 6). Sweden's New Civil Defense Guide Tells Citizens To Resist Fake News As They Would An Invasion. From The Drive: <https://www.thedrive.com/the-war-zone/21343/swedens-new-civil-defense-guide-tells-citizens-to-resist-fake-news-as-they-would-an-invasion>

Weinger, M. (2018, February 13). What Finland Can Teach the West About Countering Russia's Hybrid Threats. From World Politics Review: <https://www.worldpoliticsreview.com/articles/24178/what-finland-can-teach-the-west-about-countering-russia-s-hybrid-threats>

Wieslander, A. (2015). A new normal for NATO and Baltic Sea security. Stockholm: Swedish Institute for International Affairs.

Wigell, M. (2019). Democratic deterrence: How to dissuade hybrid interference. Helsinki: The Finnish Institute of International Affairs.

Yle. (2013, January 17). Yle to launch Russian TV news. From Yle: [https://yle.fi/uutiset/osasto/news/yle\\_to\\_launch\\_russian\\_tv\\_news/6454718](https://yle.fi/uutiset/osasto/news/yle_to_launch_russian_tv_news/6454718)

Yle. (2015, August 25). Finnish exports to Russia down more than 35 percent. From Yle. fi: [https://yle.fi/uutiset/osasto/news/finnish\\_exports\\_to\\_russia\\_down\\_more\\_than\\_35\\_percent/8251837](https://yle.fi/uutiset/osasto/news/finnish_exports_to_russia_down_more_than_35_percent/8251837)

Yle. (2015, October 17). Presidentti Niinistö infosodasta: Me kaikki olemme maanpuolustajia. From Yle: <https://yle.fi/uutiset/3-8388624>

YLE. (2015, October 21). Yle's Russian service: A quarter-century of news and controversy. From YLE: [https://yle.fi/uutiset/osasto/news/yles\\_russian\\_service\\_a\\_quarter-century\\_of\\_news\\_and\\_controversy/8396480](https://yle.fi/uutiset/osasto/news/yles_russian_service_a_quarter-century_of_news_and_controversy/8396480)

YLE. (2016, March 01). Editors defend 'trustworthy media' in joint statement. From YLE: [https://yle.fi/uutiset/osasto/news/editors\\_defend\\_trustworthy\\_media\\_in\\_joint\\_statement/8710017](https://yle.fi/uutiset/osasto/news/editors_defend_trustworthy_media_in_joint_statement/8710017)

Yle. (2016, January 22). US experts gird Finnish officials for information war. From Yle: [https://yle.fi/uutiset/osasto/news/us\\_experts\\_gird\\_finnish\\_officials\\_for\\_information\\_war/8616336](https://yle.fi/uutiset/osasto/news/us_experts_gird_finnish_officials_for_information_war/8616336)



